ეროვნული ბიბლიოთეკა „ეროვნული“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№96 (991) 10 - 12 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პრეზიდენტმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებულებიც შეიწყალა

გვ. 4

გვ. 2

პარლამენტი სასჯელის უმაღლესი ზომის ვადას ამცირებს

სულით რუსი მიხეილ ხუბუტიას მოსკოვური ვნებანი

ვინ არის, რა კავშირი აქვს „ეფესბესა“ და პუტინთან, როგორ იშოვა რუსეთში მილიარდები „ქარველთა კავშირის“ პრეზიდენტმა

გვ. 3

თბილისში „მასლინიცა“ ჩატარდება?

„ხმაურიანი დაკავებები კვლავ გველის“

როდის გაიხსნება გახმაურებული საქმეები და შეიცვლება თუ არა მთავრობა წლის ბოლომდე

გვ. 5

ლიბერთი ბანკის ფილიალებში თვითმომსახურების ტერმინალები განთავსდა

გვ. 7

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

სისხლის აღება ზონაზე

როგორ ამოხოცა რუსტამმა შვიდის მკვლელები და რისთვის დამარხა მიწაში 8 ტონა თაფლი

პატიმრის დღიური

გვ. 8

პარლამენტი სასჯელის უმაღლესი ზომის ვადას ამცირებს

„ასეთი პატიმრების გათავისუფლება, 25-ის ნაცვლად, 20-წლიანი პატიმრობის შემდეგ იქნება შესაძლებელი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უვადო პატიმრების სასჯელის გადახედვის შესახებ კანონში ცვლილებები შედის. დღეს ეს კანონი იურიდიულ კომიტეტში პირველ მოსმენას გადის, მისი ავტორი კომიტეტის წევრი უმრავლესობიდან, შალვა შავგულიძეა, ცვლილებას კი ხელი ყველა კომიტეტის თითო წარმომადგენელმა მოაწერა.

კანონის მიღებას წინ რამდენიმეთვიანი გარჩევა და შიმშილობა უძღვოდა. ჯერ კიდევ ზაფხულში, შიმშილობა უვადო პატიმრობამისჯილმა 70-მდე მსჯავრდებულმა დაიწყო, გლდანის 8-ე საპატიმროში. ისინი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ამნისტიის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას სთხოვდნენ და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარისგან დაპირება პირადადაც მიიღეს ამის შესახებ. დღეს ეკა ბესელია აცხადებს, რომ მთავარია კანონის ინიცირება მოხდეს, კონკრეტულ რიცხვებზე შეთანხმება ადვილია. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა, მიიჩნევდა ბესელია, თუმცა ძნელი სწორედ ვადებზე შეთანხმება აღმოჩნდა. როგორც „ვერსიას“ ცვლილების არსი თავად კანონის ავტორმა განუმარტა, უვადო პატიმრობამისჯილის სასჯელი იმ შემთხვევაში გადაიხედება, თუ მას უკვე 20 წელი აქვს მოხდილი, რაც არსებულ კანონზე უფრო ლიბერალურია. **შალვა შავგულიძე: „სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლება შეიძლება მას შემდეგ, რაც იგი ციხეში 25 წელს მოიხდის. ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომითა და შესაბამისი სტრუქტურის ზედამხედველობით, შეიძლება მას მერე, რაც პირი 20 წელს მოიხდის. ჩვენ ამ ორივე ვადას საკანონმდებლო ინიციატივით 5-5 წლით ვამცირებთ. საკითხს განიხილავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო გაითვალისწინებს ყველა პატიმრის ინდივიდუალურ მონაცემებს, ყოფაქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში და ამის შემდეგ, ან დააკმაყოფილებს პატიმრის მოთხოვნას, ან არა. ახლა დაახლოებით 100-მდე უვადო პატიმარი გვყავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა 20 წლის გასვლის შემდეგ, ავტომატურად გათავისუფლდება სასჯელისგან“.**

ბოლო პერიოდში, საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობის არგუმენტად მუდმივად ევროსაბჭოს რეკომენდაციები გვესმის. გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა და, როგორც შავგულიძე აცხადებს, სახელმწიფოს ლიბერალური მიდგომა უვადო პატიმრებისადმი, სწორედ ევროპული გამოცდილებითა და ღირებულებებითაა ნაკარნახევი: **„ევროპული სტანდარტი უვადო სასჯელის გადასინჯვის მაქსიმალურ ვადად 20 წელს ითვალისწინებს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ნიშნული 10, ან 12-წლიან ზღვარზეც კია, ძირითად ქვეყნებში ვადა 15 წელია, მაქსიმუმი 20 წელი გახლავთ“.**

შალვა შავგულიძე სახალხო დამცველის ინიციატივასაც ეხმაურება, რომელიც კანონის ლიბერალიზაციას 10 წლით ითხოვს და აცხადებს, რომ მას არ ეთანხმება: **„სახალხო დამცველმა შემოიტანა წინადადება, უვადო თავისუფლებააღკვეთილის სასჯელისგან გათავისუფლების საკითხიც 15 წლიდან იყოს შესაძლებელი. არ ვეთანხმები, რადგან უვადო პატიმრობის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა მის არა გათავისუფლებას, არამედ ჯერ კიდევ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ ყოფნას გულისხმობს. პირდაპირ ციხიდან გამოშვება კი იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანს სახელმწიფო კონტროლი ეხსნება. ეს ორი განსხვავებული ინსტიტუტია, ამიტომ ორივესთვის ერთი და იგივე ვადის გამოყენება გაუმართლებელია. ეს სხვაობა ყოველთვის იყო და ვფიქრობ, ახლაც უნდა დარჩეს თუნდაც იმიტომ, რომ ციხეში ჯდომის უფრო მსუბუქი სარჩელით შეცვლის შემთხვევაში, თუ პატიმარი არ ასრულებს საპრობაციო პირობებს, იგი შეიძლება ციხეში შებრუნდეს. ეს არის შანსი პატიმრებისთვის და არ ნიშნავს, რომ პირდაპირ იქნება გამოყენებული ყველასთვის — რეალურად ცვლილება შეიძლება 100 დან 5-ზეც არ გავრცელდეს. გარდა ამისა, ეს ევროპული სტანდარტია — თუ გვინდა გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი და ჩვენი კანონმდებლობა ევროპულ სამართალთან მოვიყვანოთ შესაბამისობაში, ასეც უნდა მოვიქცეთ. ევროპული სასამართლო ამბობს, რომ პატიმრისთვის თავისუფლების უვადოდ აღკვეთა, როცა სასჯელის გადახედვა გარკვეული ვადის შემდეგ და გარკვეული პერიოდულობით არაა გათვალისწინებული, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლს, ანუ წამების აკრძალვას არღვევს. შანსი ყველას უნდა ჰქონდეს, თუმცა სახელმწიფო მას ან გამოიყენებს, ან არა“.**

„ვერსიის“ კითხვას, ვინ აგებს პასუხს საზოგადოების უსაფრთხოებაზე რეციდივის შემთხვევაში, რაც უკვე არაერთხელ მოხდა, შალვა შავგულიძე ასე პასუხობს: **„ამაზე პასუხის გაცემა ძალიან ადვილია! გამოდის, შეწყალების ინსტიტუტი საერთოდ უნდა გავაუქმოთ? გავაუქმოთ ვადამდელი გათავისუფლების ინსტიტუტი, პატიმრები ციხიდან ვადამდე არც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში გამოვუშვათ და საერთოდ, სასჯელდაუნიშნავი პირებიც ხომ სჩადიან დანაშაულს — რა გავაკეთოთ, მგლის შიშით ცხვარი გავწყვიტოთ? ჩვეულებრივი მოქალაქე რომ დადის ქუჩაში, ისიც დავაპატიმროთ, რამე დანაშაული არ ჩაიდინოს? სახელმწიფო და საზოგადოება იღებს პასუხისმგებლობას კანონზე, რომელიც მოქმედებს. ევროპული მიდგომა ამ საკითხისადმი ამგვარია და ჩვენც, ამ 5-წლიანი შეღავათით, ჩვენი კანონმდებლობა ევროპულ სამართალთან მოგვყავს შესაბამისობაში“.**

სურსათის ეროვნული სააგენტო მუშაობის ახალ სტანდარტზე გადადის

სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ამიერიდან, თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოფისი ექნება. ახალი შენობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიასთან ერთად გახსნა.

პრემიერი ახალ ოფისში სამუშაო პროცესს გაეცნო და სააგენტოს თანამშრომლებს გაესაუბრა. მთავრობის მეთაურს სააგენტოში განუმარტეს, რომ ახალი ხელისუფლების მიდგომის ცვლილების შედეგად სურსათის ეროვნულ სააგენტოს სახელმწიფო დაფინანსება გაეზარდა. ამასთან, მიმდინარე წელს სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობები მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მონაცემებს — გაზრდილია საწარმოების ინსპექტირების რაოდენობა, დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკების კონტროლს;

„ყველა ნორმალურ სახელმწიფოში, რომელიც ზრუნავს საკუთარ მოსახლეობაზე, ხორციელდება სურსათის უვნებლობის კონტროლი. ჩვენ ვზრუნავთ საკუთარ მოსახლეობაზე. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. წლების განმავლობაში ეს სამსახური სრულიად უფუნქციო გახლდათ. ყოფილი ხელისუფლების მიდგომა იყო, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებდა ვითარებას, რაც გამორიცხულია“, — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს აქვს ყველა პირობა, რათა სურსათის უვნებლობა დაიცვას. პრემიერის შეფასებით, ეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხია.

საქართველოს მასშტაბით, ეტაპობრივად სურსათის ეროვნული სააგენტოს 13 ახალი რეგიონული ოფისის გახსნა იგეგმება. სააგენტოში 500-მდე ადამიანია დასაქმებული.

„პირველი“

„ქართველი ერი წინ მიდის და ამის მაგალითია ღვთისმშობლის დიდებული ტაძარი“

მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე ტაძარში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა.

„ღმერთმა ინება, რომ აქ აშენდა ტაძარი, რომელიც მფარველი იქნება სრულიად საქართველოსი და ხალხისა. ღმერთმა დალოცოს ყოველი ადამიანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა და მომავალში მიიღებს მონაწილეობას ტაძრის მშენებლობაში“, — განაცხადა უწმინდესმა.

პარაკლისს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, დედაქალაქის მთავრობა დავით ნარმანიასთან ერთად და საკრებულოს თავმჯდომარე დაესწრნენ.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლის ჩამობრძანების 25 წლისთავთან დაკავშირებით მახათას მთაზე წირვა აღევლინა.

„პირველი“

ვერსიანიუსი

გლდანის №8 დაწესებულებაში ტუბერკულოზით დაავადებული ორი პატიმარი შიმშილობს

ინფორმაციას ამის შესახებ ადვოკატი მამუკა ნოზაძე ავრცელებს, რომელიც მოშიმშილეებს გაესაუბრა. მისი თქმით, ორივე მსჯავრდებული ქსნის 19 ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან გლდანში გადაიყვანეს, რისი მიზეზიც, მათ არ იციან: **„ისინი ამბობენ, რომ გლდანის დაწესებულებაში იმყოფებიან არასათანადო პირობებში. ასევე, არ აწვდიან შესაბამის მედიკამენტებს, რის გამოც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმდება. ზაზა პ. და დავით ბ. მოითხოვენ, რომ დააბრუნონ სამკურნალო დაწესებულებაში. ისინი მეათე დღეა შიმშილობენ“.**

მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ მოშიმშილე მსჯავრდებულებმა რამდენჯერმე მიმართეს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობას, თუმცა რეაგირება არ მომხდარა. პატიმრები შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

„ინტერპრესნიუსი“

„მასლინიცა“ თბილისში და მიხეილ ხუბუტიას მოსკოვური ვნებანი

ვინ არის და როგორ იშოვა მიღიარდები რუსეთში „ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტმა

მოსკოვში გამართული „თბილისობის“ შემდეგ, კრემლთან დაახლოებული ქართველი ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია, თბილისში მოსკოვის დღეების — „მასლინიცას“ ჩატარების ინიციატივით გამოდის. „რუსული თბილისობის“ დეტალებზე უკვე ბევრი ითქვა და მასში მონაწილე ხელოვანებზეც. ამ საკითხს აღარ შევეხებით, არჩევანს ხომ ყველა თავად აკეთებს, მათ შორის, სამშობლოს ერთგულებასა და მოღალატეობას შორისაც. ჩვენი მიზანი არც ვინმეს პატრიოტად მონათვლაა და არც ვინმეს მოღალატედ შერაცხვა. ეს ჩვენი პრეროგატივა არაა და არაეთიკურიც იქნება — გმირებსა და მოღალატეებს ისტორია გამოააშკარავებს. არც იმას ვაპირებთ, კონკრეტული ადამიანები მოსკოვის მერიის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ვაქილიკოთ. ესეც მათი არჩევანია ისევე, როგორც გადაწყვეტილება — აღიარებ თუ არა რუსეთს ოკუპანტად და ჩამოართმევ თუ არა აგვისტოს ომის შემდეგ „პაკლონნაია გარაზე“ ხელს პუტინს. დიახ, ეს კონკრეტული ადამიანების არჩევანი და პრობლემაა. აი, „მასლინიცა“ თბილისში კი საქართველოს ყველა მოქალაქის პრობლემა შეიძლება გახდეს იმიტომ, რომ ბევრჯერ დავინახეთ, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის მიუხედავად, კულტურული ღონისძიებებით კრემლის პოლიტიკის შეცვლა და შერბილება შეუძლებელია! იმიტომ, რომ კონკრეტული ადამიანების ბევრი მცდელობა, პირადი კონტაქტებით დაერეგულირებინათ ურთიერთობები, ყოველთვის უშედეგოდ დასრულდა — პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, პოლიტიკოსები იღებენ! იმიტომ, რომ ალბათ მორალურად გაუმართლებელია, აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, აფხაზეთიდან თუ სამაჩაბლოდან დევნილებს, სახლის კართან „მასლინიცა“ მოუწყო, სანამ რუსის ჯარი ჩვენს ტერიტორიებზე ჯერ კიდევ დგას, სანამ ე.წ. სასაზღვრო ზოლიდან კიდევ იტაცებენ საქართველოს მოქალაქეებს, სანამ პუტინი დათმობას არ აპირებს... კიდევ ბევრი „იმიტომ“ და „სანამ“ არსებობს, რის გამოც, „მასლინიცას“ თბილისში ჩატარება საქართველოს ბევრ მოქალაქეს მიუღებლად მიაჩნია. ექსპერტების უმეტესობის პროგნოზიც „უიმედოა“ — „მასლინიცები“ და „მოსკოვური თბილისობები“ ოფიციალური თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობებში მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ შეიტანს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის სასიკეთო ცვლილებებს. თანაც, იმასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის კონკრეტული ღონისძიებების ორგანიზატორი — არის თუ არა „ფეესბესთან“ კავშირში მხილებული მიხეილ ხუბუტიას ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიება, მხოლოდ ხუბუტიასა და მისი „ქართველთა კავშირის“ მცდელობა, დაახლოოს ქართველები და რუსები? მოსკოვის მერიის მიერ „თბილისობის“ დაფინანსება, არის თუ არა დასტური, რომ ღონისძიების უკან ხუბუტიას სათაყვანებელი პუტინი დგას? რის მიღწევას ცდილობს კრემლი მსგავსი კულტურული ღონისძიებებით? რატომ აქვს ხუბუტიას ამბიცია, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობის დარეგულირებაში წვლილს შეიტანს? ან რა იგულისხმება ამ „დარეგულირებაში“? შეუძლია მოსკოვის ცენტრში, ფუფუნებაში მცხოვრებ გარუსებულ (ეს თავად აღიარა ერთ-ერთ ინტერვიუში) მილიარდერ ბიზნესმენს სწორად განსაჯოს, კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმაა საქართველოსთვის სასურველი კრემლთან ურთიერთობების დასარეგულირებლად? აქვს უფლება რუსეთში გადახვეწილ ბიზნესმენს, რომელსაც არც 9 აპრილის დროს მოხვედრია რუსული ნიჩაბი და არც აგვისტოს ომის დროს გაუგია ყუმბარების ხმა, გადაწყვიტოს, რომ თბილისში „მასნილიცას“ გამართვა მიზანშეწონილია? ეს ის კითხვებია, რომლებიც გვინდოდა, ბატონი ხუბუტიასთვის პირადად დაგვესვა, მაგრამ მან ჩვენს კოლეგებთან უკვე შეთანხმებული ექსკლუზივის გამო, საუბარი ჯერჯერობით არ ისურვა. ჩვენ კი, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ ხუბუტიას ბეგრაუნდი. დასკვნების გაკეთება მიგვინდვია მკითხველისთვის, რომელიც, ალბათ, ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხებსაც ლოგიკურად იპოვის.

ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლიდან მოსკოვის პოლიტიკურ ელიტამდე

მაშ ასე, ვინ არის მიხეილ ხუბუტია და როგორია მისი მოსკოვური ცხოვრება?

მიხეილ ხუბუტია საქართველოში, ზუგდიდში, 1966 წლის 30 მაისს, ეკონომისტების ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა. გავრცელებული ინფორმაციით, 1983 წელს მანქანის საბურავების ძარცვის გამო დააკავეს. გათავისუფლების შემდეგ ხუბუტია სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. მოგვიანებით, მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში ჩააბარა, სადაც დაუსწრებლად სწავლობდა. ამის პარალელურად დაიწყო მცირე საქმიანობა მოსკოვში, კერძოდ, ე.წ ვედეენხაზე, მან, სამ მეგობართან ერთად გახსნა ღვეზელებისა და ხაჭაპურების ,,კოოპერატივი“. ხუბუტიას ჰქონდა ნათესაური და ახლო კავშირი ე.წ. კანონიერ ქურდებთან. სწორედ მათი წყალობით დაუახლოვდა შავ სამყაროსთან დაახლოებულ რუსეთის „ფეესბეს“ თანამშრომლებს, რომელთა დახმარებითაც შემდგომში მოსკოვის ცენტრში, სასტუმრო ,,როსიასთან“, იარაღის მაღაზია გახსნა. თუმცა მანამდე, როგორც თავად ამბობს, პირველი „ბიზნესი“ მეგობრებთან ერთად დაიწყო — მტვირთავად მუშაობდა სადგურში. 32 წლის ასაკიდან კი, მისი აღმასვლა იწყება — წლების განმავლობაში მან სამშენებლო და იარაღის ბიზნესი ააწყო, სასტუმროების, რესტორნების ქსელი, სამონადირეო კომპლექსები გახსნა. ამბობენ, რომ მის ბიზნესებს სწორედ „ავტორიტეტები“ „კრიშავდნენ“.

მიხეილ ხუბუტია მალე დაუახლოვდა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ იოსებ კობზონს და მისი დამსახურებით ბიზნესის გაფართოება მოახერხა. მეტიც, ამბობენ, რომ კაზინოების, რესტორნებისა თუ სასტუმროების ქსელში მისი პარტნიორი „ეფესბეს“ მაღალჩინოსანია. იოსებ კობზონისვე საშუალებით, მან გაიცნო ყოფილი გენერალი გრომოვი, რომელიც იმ დროისათვის კენჭს იყრიდა მოსკოვის ოლქის გუბერნატორად. ხელქვეითების მეშვეობით, ხუბუტიამ საარჩევნო პროცესში, გრომოვს დიდი დახმარება გაუწია. ამ უკანასკნელმაც, გამარჯვების შემდეგ, ხუბუტიას, მადლობის ნიშნად, მოსკოვის ოლქის ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა უბოძა. შესაბამისად, ხუბუტიამ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოება მოახერხა და დღემდე მეგობრობს ვლადიმერ პუტინთან. რუსეთის პრეზიდენტისგან, ორგანიზაციის „ქართველთა კავშირი რუსეთში“ პრეზიდენტს, არაერთი ჯილდო თუ სიგელიც აქვს მიღებული. ხუბუტია ასევე მეგობრობდა მოსკოვის ექსმერ იური ლუჟკოვთან, თუმცა მასთან ურთიერთობა ლუჟკოვი-პუტინის დაპირისპირების დროს გაუფუჭდა — მიხეილ ხუბუტია ბოლომდე პუტინის ერთგული დარჩა.

მას მჭიდრო კონტაქტები აქვს ქართველ პოლიტიკოსებთან, რომლებსაც სხვადასხვა დროს აფინანსებდა კიდეც და ლოგიკურად გავრცელდა საქართველოში ინფორმაცია, რომ ხუბუტია ქართულ პოლიტიკაში მოსვლას სწორედ მათი საშუალებით ცდილობდა. ამბობენ, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან, თუმცა თავად ამ ფაქტს უარყოფს. „საერთო ენას ყველასთან ვპოულობ, ეს კი მეგობრობას არ ნიშნავს! თუმცა, სააკაშვილთან ურთიერთობა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გამიფუჭდა“, — აცხადებს.

არასახარბიელო ურთიერთობა აქვს ბიძინა ივანიშვილთან. უფრო სწორად, საერთოდ არ აქვს ურთიერთობა. მეტიც, თავის დროზე, როცა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, ხუბუტიამ მასთან შეხვედრა მოისურვა, რაზეც ივანიშვილისგან კატეგორიული უარი მიიღო. მოგვიანებით, პრემიერს წერილიც გაუგზავნა, რაზედაც პრემიერყოფილს პასუხიც არ გაუცია.

ამტკიცებს, რომ ბევრი „საგმირო საქმე“ გააკეთა რუსეთშიც და საქართველოშიც. კერძოდ, ორგანიზაცია „ქართველთა კავშირის“ ეგიდით, 12,5 მლნ დოლარზე მეტი ჰქონია ქართველების ქველმოქმედებაში დახარჯული. თუმცა, არც მაგინებელი აკლია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დარჩა მამისეული სახლი, ბინები თბილისსა და ბათუმში, ძირითადი მისი უძრავი ქონება რუსეთშია და რამდენიმე მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ცხოვრობს მოსკოვის ცენტრში. უყვარს ნადირობა და საამაყო სანადირო იარაღს სახლში, გამჭვირვალე სეიფში ინახავს. ნადირობს საკუთარ ტყეში, რომელიც 2005 წელს შეიძინა. ტყე დედაქალაქიდან 160 კილომეტრის დაშორებით, 320 ჰექტარზეა გადაჭიმული. იქ ხის სახლი აქვს, საუნით და ფერმით. აქვეა ტბაც, რომელზე სათევზაოდაც ხშირად ეპატიჟება რუსული ელიტის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით ხშირად სტუმრობს კობზონი, რომელმაც მის ვილაზე არაერთხელ იუბილე აღნიშნა. მიხეილ ხუბუტიას ჰყავს მეუღლე ეკა ჯანაშია და 2 შვილი — ილია და ნიკოლოზი.

სულით რუსი ხუბუტიას პოზიცია

ვინმემ ის რომ არ დაგვწამოს, ადამიანი ქართველებსა და რუსებს შორის მედიატორის როლს ასრულებს, „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებას ცდილობს და არ უფასებენ, მის შესახებ მცდარი დასკვნებს აკეთებენო, დასკვნების გაკეთებისგან თავს შეგნებულად შევიკავებთ, მით უმეტეს, ჩვენზე უკეთ „ხუბუტიას ფაქტორის“ გააანალიზებაში, მისი ფრაზები დაგეხმარებათ, რომლებიც ინტერნეტსივრცეში უხვად მოიპოვება. ჩვენც, გარუსებული ქართველი „მშვიდობის მტრედის“ ინტერვიუებიდან მცირე ამონარიდებს უკომენტაროდ გთავაზობთ:

- „დავიბადე და გავიზარდე ქართველად, მაგრამ მოსკოვში გავრუსდი. საუზმედ შვრიას მივირთმევ, ღვინო კი წვენებით ჩავანაცვლე. სულით რუსი ვარ და ქართული მენტალიტეტი უკვე არ მესმის. ყველა ჩემი მეგობარი აქაა. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ სამშობლო აღარ მიხმობდა. დაბრუნების სურვილი აღარ მქონია“;
- „საქართველოს კეთილდღეობის გასაღები ღმერთისა და რუსეთის პრეზიდენტის ხელშია. საქართველოს გაბედნიერებას ღმერთისგან უნდა ველოდოთ, თუმცა ბატონი პუტინის გარეშე ეს საკითხი არასდროს გადაწყდება. მთავარია, ნდობა აღდგეს, მოხდეს პირველი პირების შეხვედრა და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი. ჩემი სურვილი იქნებოდა, პუტინს ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდეს, რადგან ეს უფრო პროდუქტიული აღმოჩნდებოდა. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი უყვარს და ქართველი ხალხის მეგობარია პუტინი. რაც შეეხება წარსულს, ამაში საქართველოს ყოფილ რეჟიმს ვადანაშაულებ“;
- „ბატონი პუტინი არ არის ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება რეალური კლასიციზმის ენით ელაპარაკო და თავი გაუტოლო. რუსეთი ძალიან დიდი ქვეყანაა და პუტინი არის ადამიანი, რომელიც ყველაზე რეიტინგულია მთელ მსოფლიოში“;
- „მე 100%-ით დარწმუნებული ვარ, უკრაინის ამბავი არ არის პუტინის დაწყებული და არც რუსეთის დაწყებული, ეს ბაკქანალია დაიწყო დასავლეთმა. ერთადერთი, რასაც აკეთებდა რუსეთი, ალტერნატიულ წინადადებას სთავაზობდა უკრაინას. რის შემდეგაც დაიწყო ბერკუტის თავდასხმა. იანუკოვიჩს შეეძლო, თავისი ძალა გამოეყენებინა“;
- „რუსეთი არ ერევა უკრაინის შიდა საქმეებში. შეიძლება ამის არ გჯერათ, მაგრამ ასეა. რეალობა ისაა, რომ ჩვენი ქვეყანა, რუსეთი, არ ერევა უკრაინულ პროცესებში. თუ უკრაინა ევროკავშირში შესვლას გადაწყვეტს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი წარმოება შეწყდება და გაიზრდება უმუშევრობა. ეს რუსეთმა კარგად გააანალიზა და დახმარების ხელი გაუწოდა მეზობელ ქვეყანას“;
- „რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ რუსეთმა უკან წაიღოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება? დღეს ეს ირეალურად მეჩვენება. თვითონ საქართველოც არ არის მზად. დასავლეთსაც აწყობს ეს სტატუსკვო. უნდა მოვიფიქროთ სხვადასხვა ფორმა, რომ რამეს მივაღწიოთ. საქართველოს მოსახლეობაც არ არის მზად, ხვალ რუსეთმა თავისი გადაწყვეტილება უკან წაიღოს — ჯერჯერობით, საქართველოს მოსახლეობაში დათესილია აზრი, რომ რუსეთი არის საქართველოს მტერი“.

ვერსიანიუსი

საქართველოში ნატო-ს საწვრთნელ ბაზებთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ მასალები ნატო-ს შტაბბინას უკვე გადაეგზავნა

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, ნატო-ს საწვრთნელ ბაზებთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან ყველა მოსამზადებელი სამუშაო ჩატარებულია და უკვე ნატო-ს შტაბბინას გადაეგზავნა: **„იმ დღიდან დაიწყო პაკეტის მზადება, როდესაც ნატო-ს სამიტი დასრულდა. ჩვენ ყველა მოსამზადებელი სამუშაო დავასრულეთ. უახლოეს ერთ თვეში ჩვენ ველოდებით ნატო-ს წევრი ქვეყნებისგან თანხმობას, რის შემდეგაც ეს გეგმა საჯარო გახდება“.**

„ინტერპრესნიუსი“

ავტობანის ახალი მონაკვეთი იხსნება

რუისი-აგარას ახლადაშენებულ 5-კილომეტრიან მონაკვეთზე ავტოტრანსპორტი ახალი გზით იმოძრავებს.

ახალ მონაკვეთს ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ საღოლაშენის გადასახვევთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა ფანჩულიძე, ასევე მსოფლიო ბანკის, ჩინეთის საკონსულოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გახსნიან.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებულებიც შეიწყალა

ვინ და რატომ ითხოვს ზვიად ქორიძის დაჭერას, შეწყალების კომისიის დაშლას და მთავრობისთვის მის გადაბარებას?

შეწყალების კომისია ჩვენთან დიდი ხანია „შეუწყალებლობის“ კომისიის სახელით სარგებლობს. კომისიამ, არსებობის დღიდან, მრავალი წევრი, თავმჯდომარე და დებულება შეიცვალა. ერთადერთი, რაც უცვლელია — შეწყალების ინსტიტუტს მუდმივად ერთპიროვნულად პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს და მას იმპერატიული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას თავად კანონი აძლევს. მაგალითად, თუკი კომისია მხოლოდ იმ პატიმართა განცხადებებს განიხილავს, რომელიც დებულებების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, პრეზიდენტს პატიმრის შეწყალება ამ კრიტერიუმების გვერდისავლითაც შეუძლია. ეს ჰუმანური მიდგომა კი ხშირად თავშისაცემად გვექცევა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოქმედი პრეზიდენტის მიერ ცოლისძმის, სამჯერ ნასამართლევი პატიმრის შეწყალება გახდა, რომელსაც სასჯელის მესამედიც კი არ ჰქონდა მოხდილი. ჰოდა, როცა ასეთი პრეცედენტი არსებობს, პრეცედენტები კი ტრადიციას ქმნის, ამ კომისიის მიმართ საზოგადოებაში ნდობა, ტრადიციულად, ძალიან დაბალია. შეწყალებული პატიმრების მიმართ შიში კი — ძალიან დიდი.

8 ოქტომბერს შეწყალების კომისიამ 699 განხილული განცხადების მიხედვით, 115 მსჯავრდებულს ვერდიქტი გამოუტანა — აქედან 88 სრულად შეიწყალა და მათ ციხეები იმავე ღამეს დატოვეს, დანარჩენ 27-ს კი სასჯელი შეუმცირდა. შეწყალებულთა შორის 7 არასრულწლოვანია, აქედან 4 სრულად გათავისუფლდა, სამს სასჯელი შეუმცირდა. გათავისუფლებულებს შორის მხოლოდ ერთი ქალია, რაც კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად ქორიძემ იმით აგვიხსნა, რომ განსახილველ განცხადებათა შორის, ქალების ხვედრითი წილი ისედაც დაბალი იყო. მეტ განცხადებას ქალი პატიმრებისგან იგი მომავალ განხილვაზე ელის. „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა ყველა ის მუხლი და შესაბამისი მუხლით გამოსულ პატიმართა რაოდენობა, ვისაც შეწყალება შეეხო:

108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) ორი ადამიანია შეწყალებული, 177-ე მუხლით — 10 პატიმარი, 178-ე მუხლით — 1 კაცი, 260-ე მუხლით — 46 კაცი, 260-ე და 236-ე მუხლებით — 1 კაცი, 260-ე და 273-ე მუხლებით — 16 პატიმარი, 260-ე პრიმა და 273-ე მუხლებით — 1 კაცი, 273-ე მუხლით — 7 მსჯავრდებული. 273-ე და 238-ე მუხლებით — 1 ადამიანი, 338-ე და 341-ე მუხლებითაც — 1 კაცი. 344-ე მუხლით — 1 კაცი და 381-ე მუხლითაც — 1 მსჯავრდებული.

ამ მუხლებით, როგორც მძიმე, ასევე ნაკლებადმძიმე დანაშაულში ბრალდებულები გასამართლდნენ. დანაშაულთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება: სრულად გათავისუფლებულებს შორის არიან პირები, ვინც სასჯელს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით იხდიდა. არიან პატიმრები, ვინც ციხეში ქურდობისთვის, ცივი იარაღის უკანონო ტარებისთვის, სამსახურეობრივი სიყალბისთვის იხდიდა. არის მსჯავრდებული, რომელმაც ციხიდან გაქცევა მოახერხა, კიდევ ერთმა სამხედრო ნაწილი თვითნებურად მიატოვა. 260-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ნარკოტიკის მოხმარებას გულისხმობს, ციხე 50-მდე, ანუ ყველაზე ბევრმა პატიმარმა დატოვა. სასჯელის ვადა კი გაუნახევრდა იმ ორ პირს, ვინც სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი დაარღვია და ციხეში განზრახ მკვლელობის ბრალდებით ჩაჯდა. სწორედ ეს არის სადავო და მარტივი კითხვაც ისმის — როცა პრეზიდენტს რამდენიმე კვირაა უდევს კანონპროექტი უკანონო აბორტების გამკაცრების შესახებ, მასზე წინ ხელს მკვლელობისთვის გასამართლებულთა შეწყალებაზე რა ლოგიკით აწერს? „ვერსიისთვის“ განმარტება შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ, **ზვიად ქორიძემ** გააკეთა: **„საზოგადოება ამ პროცესს უფრო ჰუმანურად უნდა მოეკიდოს. ხმალამოღებულები კი არ უნდა დავხვდეთ — არ შეიძლება, გამოხვიდე და ციხეში უნდა ჩალპეო. ნუ შევუქმნით საზოგადოებას აზრს, რომ შეწყალება საჭირო არ არის და ციხის გარეთ სამოთხეა. ვინც ყველაზე მეტს საუბრობს იმაზე, რომ მკაცრები და დაუნდობლები უნდა ვიყოთ, შეიძლება, ხვალ თავად აღმოჩნდეს ციხეში, ამისგან დაზღვეული ხომ არავინაა?“**

რა თქმა უნდა, ჩვენ ის დეტალები არ ვიცით, რაც კომისიის წევრთათვისაა ცნობილი: რა შემამსუბუქებელი გარემოება ახლავს მკვლელობას და ა.შ. მაგრამ ამ დავასა და აჟიოტაჟსაც ზუსტად ის იწვევს, რომ ტექნიკური დებულების გარდა, კომისიისა და პრეზიდენტის მუშაობის შესახებ არაფერი ვიცით. არც საკუთარი მოტივაცია გაუზიარებია ჩვენთვის ვინმეს და არც შემამსუბუქებელი ფაქტები უჩვენებია. ჩვენი საზოგადოება არც ისე არაჰუმანურია, როგორც ჩანს და არც პატიმრებს მიიჩნევს სისხლისმსმელებად — უბრალოდ, მეტი ინფორმაციაა საჭირო იმისთვის, ვენდოთ და რაც შეიძლება ნაკლები ფაქტი უნდა დაფიქსირდეს რომ ნათესავების შერჩევითი შეწყალების შესახებ. „ვერსიამ“ შეწყალების ამ აქტის შესაფასებლად პროფესიონალ იურისტებს მიმართა. როგორც **ლევან ალაფიშვილი** აცხადებს, პრეზიდენტის მიერ შეწყალებას ლოგიკა და არგუმენტი არ სჭირდება, თუმცა მისთვის ხალხის ნაწილის უკმაყოფილებაც გასაგებია, ამიტომ ხარვეზებს თავად კომისიის მუშაობის სტრუქტურაში ხედავს. **„მესმის, მოსალოდნელ საფრთხეებზე საზოგადოების შიში და სიფრთხილე, მაგრამ ამნისტიისგან განსხვავებით, სადაც შესაძლოა, მძიმე მუხლით დაკავებულები მასობრივად გათავისუფლდნენ, შეწყალების დროს ასე არ ხდება. სხვათა შორის, წინა პრეზიდენტის დროს, შეწყალებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, დღევანდელი მაჩვენებელი კი კრიმინოგენურ მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენს. აქ შეიძლება იმაზე ვიდავოთ, რატომ გამოვიდა კონკრეტულად ის პატიმარი და არა სხვა და გაჩნდეს კითხვა, სამართლიანობისა და თანაბრობის პრინციპის შესახებ. რეალურად, ჩვენ არ ვიცით პრეზიდენტის არგუმენტაცია, არ ვიცით, რის საფუძველზე გასცა კომისიამ რეკომენდაცია განზრახ მკვლელობაში ბრალდებულებთან დაკავშირებით. ამაზე არც საჯარო განცხადება გაუკეთებია ადმინისტრაციასა და კომისიას. ვარაუდის დონეზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან შეწყალების კომისია ინსტიტუციურად, ჯერ ძალიან გაუმართავი და დახურულია. არ ვიცით კონკრეტული საქმის გარემოებები, რა როგორ აღიქვეს კომისიის წევრებმა, რა პერსონალური მოსაზრებები ჰქონდათ, დებატები როგორ წარიმართა და კენჭისყრით რა გადაწყდა. ეს კი ჯეროვანი შეფასების საშუალებას არ გვაძლევს“.**

უფრო კრიტიკული მოსაზრებები აქვს „უფლებათდამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელს, **ნიკოლოზ მჟავანაძეს,** რომელიც პირდაპირ პოლიტიკური მოთხოვნებით გამოდის: **„შეიწყალეს მკვლელობისთვის გასამართლებული ორი პირი და საკითხავია, ესენი მარგველაშვილის ნათესავები ხომ არ არიან? მან ისეთ მძიმე დანაშაულზე შეიწყალა საკუთარი ცოლის ნახევარძმა, სამჯერ ნასამართლევი კაცი, რომელსაც 12 წელი ჰქონდა მისჯილი და 2 წელში ციხიდან გამოვიდა, რომ ამის მერე აღარაფერი გამიკვირდება. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ მარგველაშვილის მიერ შეწყალებულმა ოქროპირიძემ ლაშა მახარაძე მოკლა და ახლაც იგივე რომ განმეორდეს, მერე ხელისუფლების სინანული გამოასწორებს საქმეს?! დღეს შეწყალება შერჩევითია! ისიც გაუგებარია, თუკი კრიმინოგენური მდგომარეობა მძიმდება, მაშინ რატომ ვუშვებთ ციხიდან მძიმე დანაშაულში ბრალდებულებს, რათა ეს მდგომარეობა უფრო დავამძიმოთ? თავად კომისია კი, რომელიც ასეთ მძიმე დამნაშავეებს იწყალებს და მსუბუქ დანაშაულში ბრალდებულები შეწყალებას წლობით ელიან, ხალხში ნდობას კარგავს. ისმის კითხვა, საერთოდ აქვს თუ არა აზრი ამ კომისიაში განცხადების შეტანას?! გაოგნებული ვარ ზვიად ქორიძის განცხადებით — მან ერთ-ერთ ქალბატონზე, ანასტასია ზაუტაშვილზე, რომელიც ე.წ. კოკაინის საქმეზე დაიჭირეს და ციხეში შიმშილობდა, თქვა, განცხადებაც რომ შემოიტანოს, მაინც არ გამოვუშვებთო. ეს რას ნიშნავს? ამის გამო, რაც კომისიაზე პირდაპირი ზეწოლაა, ქორიძე საჯარო მოხელესთან გათანაბრებული პირი რომ იყოს, ციხეში დაიჭერდნენ! ზვიად ქორიძე დასაჭერია, იგი კომისიის 4-გვერდიან დებულებას არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს და ხალხი შეცდომაში შეჰყავს. მეორე მხრივ, პრეზიდენტი კომისიაზე ზეწოლას ახდენს, რადგან არა მგონია, კომისიის წევრებს ვენები გადაეჭრათ, მარგველაშვილის ცოლისძმა გამოვუშვათო. თუკი პრეზიდენტი დაინტერესებული მხარე ერთხელ უკვე იყო, არც ისაა გამორიცხული, ამ მკვლელების შეწყალებაშიც ჩარეულიყო. ამ კომისიაში ქორიძე პრეზიდენტის მიერ დელეგირებულია და სწორედ მის უპასუხისმგებლო განცხადებებს მოჰყვა ორი თვის წინ პატიმრების შიმშილობა. კომისია საერთოდ დასაშლელია, რადგან მის არსებობას აზრი არ აქვს — ეს გახლავთ უფუნქციო კომისია. თავად წევრები ჩემთან პირად საუბარში ამბობენ, აღარ გვინდა აქ მუშაობა, მის ფუნქციონირებას აზრი ეკარგებაო. მესმის, კომისია რაღაც საკითხებს პრეზიდენტთან ათანხმებს, მაგრამ, თუ ასე მუშაობა არ შეუძლია, მაშინ პრეზიდენტს უნდა ჩამოერთვას, რაკი სათანადოდ ვერ უძღვება, ნათესავებს იწყალებს, არაადეკვატურ ნაბიჯებს დგამს და მთავრობას გადაეცეს!**

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილმა და ალექსანდრე ჭიკაიძემ მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრი გახსნეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრი გახსნეს. ღონისძიებას მთავრობის წევრები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებისა და იმიგრაციული პროცესების მოწესრიგების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიგრაციის დეპარტამენტი 2014 წლის აგვისტოში შეიქმნა. დეპარტამენტი პასუხისმგებელია ქვეყნის შიგნით კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფთა აღმოჩენაზე, დაკავებასა და მათ ქვეყნიდან გაძევებაზე. ამასთან, ადამიანის უფლებების დაცვის და ევროპული სტანდარტების შესაბამისად, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების დროებითი მოთავსების ცენტრიც აშენდა.

შენობა ორი სართულისგან შედგება და გათვლილია საქართველოში უკანონოდ მყოფ 80 პირზე. არსებული ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, შენობაში განთავსებულია სასადილო, სამლოცველო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, ასევე, შენობის ეზოში მოწყობილია სპორტული და ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშო მოედნები. ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით, ოჯახები განთავსდება ცალკე ბლოკებში. დაკავებულთათვის ხელმისაწვდომია სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, გამოყოფილია სამედიცინო დახმარების ოთახები, ასევე, ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით, შექმნილია სათანადო პირობები უწყვეტი განათლების მისაღებად. გარდა ამისა, ცენტრში განთავსებულია შესაბამისად ადაპტირებული ოთახები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ასევე იმ უცხოელებისთვის, რომლებიც მიდრეკილნი არიან თვითდაზიანებისკენ და არსებობს მათი მხრიდან გარშემომყოფებისათვის ფიზიკური ზიანის მიყენების საფრთხე. ცენტრი აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით.

გახსნის ცერემონიის შემდეგ სტუმრებმა დროებითი განთავსების ცენტრი დაათვალიერეს, მომსახურე პერსონალს გაესაუბრნენ, მიგრაციის დეპარტამენტის დებულებას და მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიგრაციის სფეროში განხორციელებული რეფორმები ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების ეფექტიან მართვას, რაც თავის მხრივ წინგადადგმული ნაბიჯია სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის დამამთავრებელი ფაზით გათვალისწინებული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისთვის.

„ვერსია“

„ხმაურიანი დაკავებები კვლავ გველის“

როდის გაიხსნება გახმაურებული საქმეები და შეიცვლება თუ არა მთავრობა წლის ბოლომდე

ეროსუდან შელია
557-100-768

გარემოს დაცვის სამინისტროში განხორციელებული ცვლილებებით კმაყოფილია. ზოგადად, იმ პოლიტიკოსების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც კოალიციის მთავარ მონაპოვრად თავისუფლება მიაჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ წარსულზე საუბარი პოპულარული აღარ არის, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის სტილს ვერ ივიწყებს — ორი წლის განმავლობაში, „ქართული ოცნების“ ქმედებებსაც წინა ხელისუფლების ნაბიჯებს ადარებს. რა ცვლილებები იგეგმება გარემოს დაცვის მიმართულებით და რატომ ითხოვს ბიუჯეტიდან დამატებით თანხებს, ვის წინაშე გრძნობს თავს ვალდებულად და რატომ ითხოვს პროკურატურაში შესული 20 ათასი საჩივრის დაუყოვნებლივ განხილვას? „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტში გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი აფასებს.

— 6-თვიანი მონაცემებით, გარემოს დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში საკმაოდ ჩამორჩებოდა. დღეს პრობლემა აღარ არსებობს, რადგან თანხების ათვისება 90%-მდე გაიზარდა. ეს სამოთხეა ნაციონალური მოძრაობის დროს არსებულ ვითარებასთან შედარებით. წინა მოწვევის პარლამენტში მკვლელობაზე, წამებაზე, ციხეებში უმძიმეს მდგომარეობასა და ბიზნესმენების დატერორებაზე საუბრობდნენ, დღეს კი მნიშვნელოვან საკითხებს განვიხილავთ... განათლების მინისტრის მიერ მომზადებული კანონის განხილვა გადაიდო. მსგავსი პრეცედენტი სააკაშვილის პარლამენტში არ ყოფილა.

— სამაგიეროდ, მეორე უკიდურესობას ვიღებთ. მინისტრი, რომელიც კანონს ვერ წერს, თანამდებობას ინარჩუნებს. რატომ?

— ეს პრემიერის გადასაწყვეტია. არ გამოვრიცხავ, მთავრობის შემადგენლობა წლის ბოლომდე ან მომავალი წლის დასაწყისში შეიცვალოს.

— უკვე იცით, რომელი მინისტრი დატოვებს თანამდებობას?

— ჯერჯერობით, არა, მაგრამ ზოგადად, ხარისხის გაუმჯობესებისთვის ცვლილებებს მივესალმები. თანამდებობის პირებმა ერთი პრინციპი უნდა გაითავისონ — როგორც მოსვლით გაგვახარე, ისე წასვლით გაგვახარეო. თანამდებობის დაკარგვის გამო ტრაგედია არავინ უნდა შექმნას. გარემოს დაცვის სამინისტროში მენეჯმენტის ცვლილებითაც კმაყოფილი ვარ. მინისტრი წინამორბედის გზას აგრძელებს.

— თუ მმართველობის სტილი იგივეა და ელგუჯა ხოკრიშვილი ინიციატივებით არ გამოირჩევა, რა საჭირო იყო უწყებაში ცვლილება?

— ხათუნა გოგალაძის პერიოდში, სამინისტროში პროფესიონალი ეკონომისტების პრობლემა იყო. დღეს უწყების ბიუჯეტი 35 მილიონი ლარია. 2010 წელს მხოლოდ 28 მილიონი იყო, 2012 წელს კი — 13 მილიონი ლარი. ფინანსთა სამინისტროსგან დაახლოებით 5 მილიონი ლარის დამატებას ვითხოვთ. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩავატარეთ. ოკაცეს კანიონის პროექტი, სადაც 2012 წლის აგვისტოში ყიამყრალი ყოფილი პრეზიდენტი თანაგუნდელებთან მიბრძანდა და კაფსულა ჩადო, თავიდან ბოლომდე სწორედ ჩვენი ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა და მასზე ბიუჯეტიდან 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ორი კვირის წინ, სააკაშვილი ტელევიზიით გამობრძანდა, ოკაცეს კანიონი მსოფლიო ბანკის პროექტი იყო და ხელისუფლება ვალდებული იყო, ბოლომდე მიეყვანაო. ეს ისეთივე სიყალბეა, როგორც თავად სააკაშვილი. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტი გარემოს დაცვაა.

— პრიორიტეტი სოციალური ფონის გაუმჯობესებაც იყო, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ შიმშილობს, არც ღატაკთა და დაუსაქმებელთა რაოდენობა შემცირებულა.

— წულუკიანს ვეთანხმები, უამრავი კეთილი საქმე გაკეთდა, მაგრამ ამის შესახებ საზოგადოებამ არ იცის. ნაციონალური მოძრაობის დროს ყველაფერი ფასადური იყო, თითქოს ჯარისკაცების დაფინანსებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ ქვეყანას 55-ლარიანი მარჩენალდაკარგულები ჰყავდა. ახლა ასეთ ადამიანებზე სახელმწიფო რეალურად ზრუნავს... მაგრამ პენსიას უსაზღვროდ ვერ გავზრდით — ბიუჯეტი თანაბრად უნდა გადანაწილდეს პენსიონერზე, ახალგაზრდაზე, სამხედროზე, ექიმზე, პედაგოგზე, დეპუტატზე, მძღოლსა თუ მეეზოვეზე.

— ფაქტია, დეპუტატებზე, მთავრობის წევრებსა და მერიის თანამშრომლებზე განსაკუთრებით „იზრუნეთ“ და მათთვის ხელფასზე დანამატები არ გენანებათ.

— პრემიალური სისტემა პარლამენტშიც და მთავრობის დონეზეც მოწესრიგდა, მაგრამ ღარიბაშვილი ნარმანიას ვერ უბრძანებს, ვის რამდენი პრემია და დანამატი მისცეს. ასეთი მიდგომა თვითმმართველობის პრინციპს არღვევს. თბილისის მერმა არასამთავრობო ორგანიზაციებს ოპტიმალური ვარიანტის ერთობლივად შემუშავება შესთავაზა. ადამიანის შრომა ადეკვატურად უნდა დაფასდეს. თუ მერის მოადგილესაც, მეტყველ-რეინჯერის მსგავსად, 440 ლარი უნდა ჰქონდეს, რომელთა ხელფასი 100 ლარით ჩვენ გავზარდეთ? რეინჯერისთვის ამ ოდენობის ხელფასის დანიშვნა ნიშნავს, რომ ციხისთვის გავწირეთ. ჩემი აზრით, ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს. ხაჩიძე არ ვარ, რომელიც ბედნიერი იყო მაშინაც კი, როცა მისი მოადგილეები დააკავეს. ასეთი ადამიანები დღეს ევროპაზე გველაპარაკებიან. მაინტერესებს, რატომ არ ახსოვდათ ევროპა, როცა პატიმრებს აწამებდნენ?

— ყველა კითხვაზე პასუხს ნაციონალური მოძრაობის მმართველობაზე საუბრით ასრულებთ. დრო არაა, ხელისუფლებამ ოპოზიციის ოპოზიციაში ყოფნა დაასრულოს? საერთაშორისო პარტნიორებიც ამისკენ მოგიწოდებენ.

— თუ ვინმეს უახლესი ისტორიის ამ მონაკვეთის ამოშლა სურს, მზად ვარ, დავეხმარო, მით უმეტეს, დღეს სააკაშვილს მხოლოდ წითელი საცვალი, ველოსიპედი, მწვანე ფეხსაცმელი და ხელში ქოქოსის წვენი შერჩა... მაგრამ რა ვუყოთ მათ, ვისაც აუპატიურებდნენ ან ბიზნესმენებს, რომლებსაც 2000-ლარიანი ბოსლები 7 მილიონ ლარად აყიდინეს? მათ წარსულს ვერასოდეს დაავიწყებ. საქართველოს მომავლის გასაღები თბილისშია. ხელისუფლებამ თავი ევროსაბჭოს დეპუტატს კი არა, საქართველოს მოქალაქეს უნდა მოაწონოს. ეს განსხვავებაა „ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ნაციონალებმა საქართველოში სრული მხარდაჭერა დაკარგეს, ერთ ჩაკეტილ კლუბად, მასონთა ლოჟად ჩამოყალიბდნენ და ყველაფერს აკეთებენ, ქვეყანას თავი მოჭრან. ჩვენ კი ვამბობთ, საქართველოში კანონის წინაშე ყველა თანასწორია. პროკურატურაში 20 ათასი სარჩელი მე დავწერე თუ ეს საჩივრები სანაგვეში გადავყაროთ? სასამართლო თავისუფალია. დღეს ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესები პირდაპირ ეთერში შუქდება, როცა ორი წლის წინ ჟურნალისტს დარბაზშიც კი არ უშვებდნენ. არაერთი ჟურნალისტი ვიცი, რომელსაც შეურაცხყვეს და სცემეს. არჩევნებსაც არავინ აყალბებს, ციხეში ადამიანებს არ აუპატიურებენ და პირადად ჩემთვის ეს ყველაზე დიდი მონაპოვარია! არაფერს ნიშნავს, რომ შეკრებითობის მუხლები გაუქმდა და ახალგაზრდებს წვრილმანი ქურდობისთვის ციხეში 30 წლით არ აგზავნიან, „ცე“ ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების მაჩვენებელი 300%-ით, სააფთიაქო ნარკომანია კი 92% შემცირდა და ათასობით ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინეთ? ვაკეში ვცხოვრობ, 22 წლის ბიჭი მყავს და ვიცი, რაც ხდებოდა. ჩემ სახლთან 5 ფსიქოტროპული აფთიაქი 24 საათი მუშაობდა. კი ბატონო, მეც მაქსიმალისტი ვარ, მაგრამ საზოგადოებას ფლიდობისთვის არ აურჩევივართ. ევროსაბჭოში კანდელაკმა გაჯობათო, რომ გვეუბნებიან, კანდელაკი გაქნილი ნაძირალა, ყალბი კაცია! ბურჯანაძეც რომ გვეუბნება, რეზოლუცია თქვენი სისუსტის შედეგიაო, კარგად მახსოვს, ნაციონალებმა დასავლეთში ფლიდობა სწორედ ბურჯანაძესთან ერთად დაიწყეს და შემდეგ მის გარეშე გააგრძელეს! ევროსაბჭოს დეპუტატებს მოვუწოდებ, ჩამოვიდნენ და ყოფილი მაღალჩინოსნების პროცესებს დაესწრონ. სიმართლე გითხრათ, სამართლიანობის აღდგენის ტემპი არც მე მომწონს და ის 20 ათასი საჩივარი ბოლომდე მისაყვანია, რათა მტყუან-მართალი ერთხელ და სამუდამოდ გავარჩიოთ, ოღონდ ისე, სასამართლოს გადაწყვეტილებაში არავინ ჩაერიოს.

— ეს პროცესი წლის ბოლომდე დასრულდება, როგორც უკვე დაანონსდა?

— ეს დამოკიდებულია სასამართლოზე. ვვარაუდობ, გახმაურებული საქმეები წლის ბოლომდე ან 2015 წლის დასაწყისში გაიხსნება. ასე რომ, ვფიქრობ, ხმაურიანი დაკავებები გველის.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ადვოკატი დააკავეს

ბრალდებულის სახით დაკავებული არიან ასევე ჯეიხუნ გუმბათოვი და ზახიდ გუმბათოვი, შაიგ ალიევი და რამინ გარაბაგლი კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით: **„მარნეულის რაიონ სოფელ იმირში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ადვოკატი ჯეიხუნ მამედოვი დააკავა.**

ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითური გზით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, დაკავებული არიან ჯეიხუნ გუმბათოვი და ზახიდ გუმბათოვი, ხოლო ორი მოქალაქე — შაიგ ალიევი და რამინ გარაბაგლი ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ. აღნიშნულ პირთა ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით, თაღლითური გზით დაეფლა ქალაქ მარნეულში მდებარე მიწის ნაკვეთებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 4-დან 7 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“.

„პირველი“

აზერბაიჯანში მომხდარ ავტოავარიას საქართველოს მოქალაქე ემსხვერპლა

მამუკა ბალავაძის განცხადებით, აზერბაიჯანში მომხდარი ავტოავარიისას დაშავებული მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ბალავაძის ინფორმაციით, უკვე დადასტურებულია, რომ დაღუპულ სამ ადამიანს შორის ერთი საქართველოს მოქალაქეა: **„მძიმე ავტოსაგზაო შემთხვევა 9 ოქტომბერს, დაახლოებით, 03:00 საათზე მოხდა. ბაქოდან მარნეულისკენ ქართული სანომრე ნიშნებით მიმავალი ავტობუსი „კამაზის“ ტიპის სატვირთო ავტომანქანას დაეჯახა. შედეგად, მოხდა აალება და ავტობუსი ფაქტობრივად, მთლიანად დაიწვა. გარდაიცვალა სამი ადამიანი, მათ შორის, ერთი საქართველოს მოქალაქეა. დაშავებული იყო 15-მდე ადამიანი, ნაწილს ადგილზე აღმოუჩინეს დახმარება, ხოლო 5 ადამიანი, რომელიც შედარებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, განჯის კლინიკაში გადაიყვანეს. მათგან ორი, მძღოლის ჩათვლით, რეანიმაციაში გადის მკურნალობას. ექიმების ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, სამ ადამიანს კი სხვადასხვა დაზიანებები აქვს მიღებული. გენერალური საკონსულო ინფორმაციის მიღებისთანავე ჩაერთო საქმის კვლევაში. მოქალაქეების უმრავლესობას საბუთები განადგურებული აქვს. ამ ეტაპზე, გენერალური საკონსულო მოწმობებს ამზადებს, რათა მათ საქართველოში დაბრუნება შეუფერხებლად შეძლონ. საგამოძიებო სამსახურების ინფორმაციით, ავტობუსის მძღოლის ბრალეულობა გამოიკვეთა და მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე — აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ავსტოსაგზაო შემთხვევას, რომელსაც მოჰყვა 2 ან 2-ზე მეტი ადამიანის მსხვერპლი“.**

„პირველი“

მერიაში სახელფასო დანამატების ბუმი გრძელდება

რატომ იღებს დავით ნარმანია კომერციული ბანკიდან სესხს და რა პროექტები დაფინანსდება თბილისის ბიუჯეტიდან?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის მერის დავით ნარმანიას ახალი ბრძანებულების მიხედვით, 2014 წლის სექტემბრიდან, მერიის აპარატის მაღალჩინოსნებს ხელფასზე დანამატი დაერიცხათ. სააკაშვილისეული „ქამრების შემოჭერის“ თემა ჯერ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებაში ახლადმოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ და ახლა, ესტაფეტასავით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულმა ნარმანიამ გადაიბარა... ახალი მერის ახალ ბრძანებულებას საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ ხალხის პროტესტს მერიის მაღალჩინოსნების ხელფასზე დარიცხული დანამატები კი არა, „ქამრების შემოჭერის“ მოტივით მიღებული ნარმანიას გადაწყვეტილება იწვევს. თანაც იმ ფონზე, როდესაც თბილისის მერმა, დედაქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის შევსების დაფარვის წყაროდ, ცენტრალურ ხელისუფლებას კომერციული ბანკებიდან სესხის აღება მოსთხოვა.

თბილისის მერის, დავით ნარმანიას გადაწყვეტილებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოკლედ და კონკრეტულად გამოეხმაურა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დავით ნარმანია ყველაფერს ღიად და გამჭვირვალედ აკეთებს. რას ნიშნავს თბილისის მერის ახალი ბრძანებულება და რატომ უნდა დაერიცხოთ დედაქალაქის მთავრობის მაღალჩინოსნებს სახელფასო დანამატი? რა მიზნით აპირებს ნარმანია კომერციული ბანკებიდან სესხის აღებას? რატომ დააკორექტირა, ან კონკრეტულად რა ცვლილებები შეიტანა თბილისის ახალმა მთავრობამ 2014 წლის ბიუჯეტში?

თბილისის მერის მოადგილემ, **გუგა ხელაიამ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი 72 000 000 ლარით განისაზღვრა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ნარმანიას გუნდი ნაციონალი წინამორბედების მიერ შედგენილ ბიუჯეტს ჩაუჯდა, დეტალურად შეისწავლა და ისეთი სერიოზული საფრთხე აღმოაჩინა, რომ სასწრაფოდ დააკორექტირა: **„თბილისის ბიუჯეტის დეტალური ანალიზის შედეგად გავარკვიეთ, რომ ხარჯი და შემოსავალი არ ემთხვეოდა. ცვლილებებში ჩადებული იყო ვირტუალური თანხა, მათ შორის ისეთი, რომელიც საწარმოთა ქონების გადასახადის ნაწილს ეხებოდა. ნაციონალებმა თბილისის ბიუჯეტში საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი 48 500 000 ლარით მეტი დაგეგმეს, ვიდრე თბილისის მასშტაბით, ამ ქონების გადასახადის საბაზისო მონაცემი იყო. ბუნებრივია, ასეთი გადასახადი ბიუჯეტში ვერ შემოვიდოდა. წინა წლების ფაქტობრივ შემოსავლებსაც გადავხედეთ, რაც 100 000 000 ლარის ფარგლებში იყო დაგეგმილი და ესეც გაბერილი თანხა იყო. თბილისის ბიუჯეტის გეგმის შეუსრულებლობის მაღალი საფრთხე არსებობდა, რადგან ამ ნაწილშიც არასწორი გათვლა იყო და ამ შემთხვევაში, ქონების პრივატიზაციის ნაწილს ვგულისხმობ. მოგეხსენებათ, ეს ჩვენი ბიუჯეტი არ იყო, არადა, წლის ბოლომდე გარკვეული პრიორიტეტები გვქონდა შესასრულებელი, ამიტომ დღის წესრიგში ცვლილებების გატარება დადგა“.**

ხელაიას თქმით, თბილისის ბიუჯეტის დეტალური ანალიზის შედეგად ისიც გაირკვა, რომ აუცილებელი ხარჯების გათვალისწინებით, რაც დედაქალაქის მთავრობას უნდა დაეფინანსებინა, ბიუჯეტი 30 000 000 ლარით იყო გარღვეული. კანონით, თუ ბიუჯეტის შედგენისას დეფიციტის (გარღვევის) დაფარვის წყარო არ იქნება მითითებული, თბილისის ბიუჯეტის შემთხვევაში, საკრებულო, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, პარლამენტი არ დაამტკიცებს. ზოგადად, საბიუჯეტო დეფიციტის შევსების რამდენიმე წყარო არსებობს, მაგრამ საქართველოში ორი მეთოდია. კარგ შემთხვევაში, ბიუჯეტის დეფიციტი ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლით იფარება, არც ისე კარგ შემთხვევაში, დეფიციტის შევსების წყარო სესხია.

გუგა ხელაიას განმარტებით, სწორედ 30 000 000 ლარით გარღვეული თბილისის ბიუჯეტის გამო მოითხოვა დავით ნარმანიამ ცენტრალური ხელისუფლებისგან, ამ დეფიციტის დაფარვის წყარო კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი ყოფილიყო: **„ცენტრალურ ხელისუფლებას მივმართეთ თხოვნით, თუ მიმდინარე საფინანსო წლის ბოლომდე, დეფიციტის გამო პრობლემები შეგვექმნებოდა, წყაროდ ის სესხი ჩაეთვალათ, რომელსაც კომერციული ბანკიდან ავიღებდით. მთავრობამ გაითვალისწინა არსებული ვითარება და დაგვთანხმდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სესხით დღესვე ვისარგებლებთ. დედაქალაქის მერია მიმდინარე პროექტებზე სერიოზულად მუშაობს და თანხების ათვისებაც ინტენსიურად დავიწყეთ, მაგრამ მერიის ანგარიშებზე არსებული თანხა მხოლოდ მიმდინარე პროექტების დასაფინანსებლადაა საკმარისი. რა რაოდენობის თანხის ათვისება დაგვჭირდება, ახლა ვერ გეტყვით. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ეკონომია დაგვრჩება ტენდერებიდან. განსაკუთრებით დიდ ტენდერებს ვგულისხმობ, როდესაც მაღალი კონკურენციის პირობებში, ის იმარჯვებს, ვინც ნაკლებ ფასს შემოგვთავაზებს. ასეთი გათვლების გაკეთება ახლა გაგვიჭირდება, მაგრამ რეალურად, ნოემბრის დასაწყისში გამოიკვეთება, როგორ დავხურავთ მიმდინარე წელს. რაც შეეხება აჟიოტაჟს, რომელიც სავარაუდო სესხის აღებას ეხება, ნაციონალების შემოგდებული თემაა. საერთოდ, ბიუჯეტირების პრინციპიდან გამომდინარე, თუ შემოსავალი და გასავალი ვერ ბალანსდება, ან ხარჯები უნდა შეამციროთ, ან დამატებითი თანხა მოიძიოთ. ხარჯების შემცირება სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევდა. ეს ნიშნავს, რომ გარკვეული პროექტები უნდა შეგვეჩერებინა და ამიტომაც მივმართეთ ცენტრალურ ხელისუფლებას. ნაციონალური მოძრაობის მთავრობამ, თავის დროზე, შეგნებულად დაგეგმა პრობლემური ბიუჯეტი, რომელიც დაგვხვდა. ბიუჯეტში ირეალური თანხები ჩადეს, რათა ახალ მთავრობას სწორედ ამ ტიპის პრობლემა შექმნოდა და მერე, როგორც სჩვევიათ, მათივე სტილში, ჩვეული სიჯიუტით ემტკიცებინათ, რომ რაღაც ვერ გავაკეთეთ. არადა, მათი ბიუჯეტია, მათ გაიტანეს მთავრობაზე და მათვე დაამტკიცეს. სამარცხვინოა, როდესაც შენს მიერ გაფუჭებული საქმის გამო სხვას ბრალს სდებ და ხელსაც სხვისკენ იშვერ! ვფიქრობ, ეს ნაციონალების კარგად გამიზნული სვლა იყო, რათა პრობლემები შეგვექმნოდა და ხარჯი შეგვემცირებინა. თუმცა, როგორც იცით, კანონიერი გზა ავირჩიეთ და თბილისის ბიუჯეტის დეფიციტის წყაროს შესავსებად, ცენტრალურ მთავრობას კომერციული ბანკებიდან სესხის აღება მოვთხოვეთ“.**

რაც შეეხება თბილისის მერის ახალ ბრძანებულებას, რომლითაც მერიის მაღალჩინოსნებს სახელფასო დანამატიც ერიცხებათ, გუგა ხელაიამ აღნიშნა, რომ თბილისის მერი, მოადგილეები და სამსახურების უფროსები პრემიებს არ იღებენ. მეტიც, საპრემიო სისტემაზე საერთოდ უარი თქვეს და სახელფასო დანამატს მხოლოდ ამიტომ იღებენ: **„ზოგადად, ანაზღაურება შედგება სამი ნაწილისგან — სარგო, დანამატი და პრემია. ჩვენი წინამორბედები, სევდია უგრეხელიძე, ირაკლი აბესაძე და სხვა ძმანი მათნი, სამივე კომპონენტს იღებდნენ. კონკრეტულად ხელფასი, სარგოსა და დანამატისგან შედგება, მაგრამ ისინი ყოველკვარტლურ პრემიებს იღებდნენ, რაც ორჯერ და სამჯერ აღემატებოდა სარგოს მოცულობას. სხვათა შორის, დავით ნარმანია დანამატს საერთოდ არ იღებს, მხოლოდ სარგო ერიცხება. ჩვენ კი, მისმა მოადგილეებმა, პრემიებზე უარი ვთქვით და სახელფასო დანამატის მოცულობაც შევიმცირეთ. არანაირი პრემია არ აგვიღია და არც ვაპირებთ აღებას. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, მთლიან ხარჯში, რომელიც თბილისის მერის მოადგილეებისა და სამსახურის უფროსების ხელფასს ხმარდებოდა, ამიერიდან პრემიები გათვალისწინებული არ იქნება. ნაციონალური მოძრაობის მთავრობამ საპრემიო ფონდი ისედაც ამოწურა, რადგან საარჩევნო პერიოდში, პირველი და მეორე ტურის დროს, მაქსიმალურად გასცეს პრემიები და ყოვლად დაუსაბუთებლად გაანაწილეს თანამშრომლებზე. პრემიის გაცემის არავითარი პრინციპი არ არსებობდა. ბევრს გასცემდნენ, რათა არჩევნების პერიოდში სასურველი შედეგი მიეღოთ და თანამშრომელთა გულიც მოეგოთ. ამის გამო სარგოს მოცულობის 100%-იანი ოდენობით, დასაბუთების გარეშე, ოთხი თვის მანძილზე გასცემდნენ პრემიებს. ხაზგასმით აღვნიშნავ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში თბილისის მერი, მოადგილეები და სამსახურების უფროსები პრემიებს არ აიღებენ, პრემია მხოლოდ იმ თანამშრომლებზე გაიცემა, რომლებიც სახელფასო დანამატს არ იღებენ, მაგრამ გარკვეულ წახალისებას საჭიროებენ. რაც შეეხება სახელფასო დანამატს, პირდაპირ უნდა გითხრათ, ამაში არავითარი უკანონობა არ არის. ჩვენთან მაღალკვალიფიციური ადამიანები მუშაობენ, რადგან 72 000 000-ლარიან ბიუჯეტს პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდის გაძღოლა სჭირდება და არა ისეთი ბაქია და პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხი, როგორიც წინა მთავრობაში იყო! ოპონენტების კრიახი უსაფუძვლოა და ეს თემაც მათი შემოგდებულია, რათა თბილისის მთავრობას ხელი შეუშალონ!“**

გუგა ხელაიამ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ თბილისის ახალმა მთავრობამ სერიოზულად შეამცირა საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯი — ადმინისტრაციული ხარჯი 600 000 ლარით შემცირდა. „ვერსიის“ კითხვაზე, კონკრეტულად, რა სახის ღონისძიებები და პროექტებია გათვალისწინებული თბილისის ბიუჯეტში, ხელაიამ უპასუხა:

„ნაციონალური მოძრაობის თბილისის მთავრობამ დედაქალაქის ბიუჯეტის სოციალური ნაწილი ამოწურა, რათა ამომრჩევლის გული მოეგო. ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით მხოლოდ 17%-იანი შესრულება იყო, საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა, რეკონსტრუქცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ათვისება მხოლოდ 9.4% იყო, ბინათმშენებლობისა და ავარიული შენობების გამაგრება — 0.9%-ით შესრულდა, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები — 4.1%-ით, მეწარმეების მხარდაჭერა — 0.1%-ით. ჩვენ რომ ბევრს გვიკიჟინებს, აი, სწორედ მათ „გაკეთებულ“ საქმეებზე გესაუბრებით ახლა. პროგრამა — „ერთად ვაკეთოთ საქმე თბილისისთვის“ — 10%-ით შეასრულეს, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება ვაკის რაიონში — 0.3%-ით, საბურთალოს რაიონში იგივე მუხლით — 13.8%-იანი შესრულება დაფიქსირდა. 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მიხედვით, გარკვეული რესურსები მოვიძიეთ და პრიორიტეტების მიხედვით გადავანაწილეთ. სოციალური დახმარებების ღონისძიებების დაფინანსება, დაახლოებით, 5 000 000 ლარით გავზარდეთ. მართალია, რესურსი აღარ იყო, მაგრამ სოციალური დახმარება აუცილებელია ჩვენი თანამოქალაქეებისთვის და ამ პროგრამებს ვერ შევაჩერებდით. ბინათმესაკუთრეთა და ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა 5 500 000 ლარით გავზარდეთ, რადგან ეს რესურსიც ამოწურული იყო. მთლიანობაში, სხვა პროექტებსაც ვახორციელებთ, ძირითად აქცენტს კი ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ავარიული სახლების გამაგრებაზე, ასევე სახურავების შეკეთების სამუშაოებზე ვაკეთებთ. ის ღონისძიებები, რაც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, კვლავ გრძელდება“.

ვერსიანიუსი

„მადას“ ხორცპროდუქტი საკვებად უვარგისია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, არ მიიღონ ამ დღეებში შეძენილი შპს „მადას“ წარმოებული პელმენი, ხინკალი, ქაბაბი და სხვა ხორცპროდუქტები.

„სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შპს „მადას“ წარმოების ხორცის პელმენში პათოგენური მიკროორგანიზმი „ლისტერია მონოციტოგენეზი“ აღმოაჩინა, რის გამოც დაიწყო აღნიშნული წარმოების პროდუქციის ქსელიდან ამოღება და განადგურება, პარალელურად კი ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმდა.

სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით: „ლისტერია მონოციტოგენეზი“ პათოგენური მიკროორგანიზმია, რომელიც ძალიან საშიშია ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. პათოლოგიური მიკროორგანიზმი „მადას“ პელმენში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის — სურსათის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა. საწარმოში, რომელიც მუხიანში მდებარეობს, ჩატარდა არაგეგმური ინსპექტირება. შედეგად, გარდა პათოგენური მიკროორგანიზმით მზა სურსათის დაბინძურებისა, გამოვლინდა კიდევ 2 კრიტიკული შეუსაბამობა: ბიზნეოპერატორს არ აქვს დაცული ხორცპროდუქტების სათანადო ტემპერატურით დამუშავების პირობები, საწარმოში არ არის ცხელი წყალი; არ ხდება სურსათთან უშუალოდ შეხებაში მყოფი საგნებისა და აღჭურვილობის რეცხვა-დეზინფიცირება ცხელი წყლით.

კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დარღვევების გამო ბიზნეოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი და დაევალა მავნე სურსათის ქსელიდან გამოთხოვა.

სურსათის ეროვნული სააგენტო საჭიროების მიხედვით დამატებით მიაწვდის მოსახლეობას ინფორმაციას რისკის შემცველი პროდუქტის შესახებ, აგრეთვე იმ ზომების თაობაზე, რომლებიც მიიღება რისკის აღმოსაფხვრელად“.

„ინტერპრესნიუსი“

2015 წლიდან პენსია მხოლოდ 10 ლარით გაიზრდება?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, 2015 წლიდან პენსია გაიზრდება. რამდენი ლარით, მინისტრს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ განმარტა, რომ მომდევნო ორი თვის განმავლობაში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ერთად ამ საკითხზე იმუშავებს და ყველაფერი ნოემბრის დასაწყისში გაირკვევა. 2015 წლიდან, დევნილთა თუ სხვა სოციალური შემწეობებიც გაიზრდება და სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარებებიც გაორმაგდება.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა წარადგინა. მინისტრის განცხადებით, პროგრამის ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებაა. ნოდარ ხადურმა განმარტა, რომ 2013-2014 წლებში, აქცენტი ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე გაკეთდა, ხოლო 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, სწორედ ამ ორი სფეროს დაფინანსება იზრდება. მომავალ წელს, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის პროგრამებზე, საქართველოს მთავრობა მილიარდ ლარზე მეტს დახარჯავს.

ამ ეტაპზე, საპენსიო უზრუნველყოფისათვის 1 360 000 000 ლარია გათვალისწინებული, სოციალური დახმარებებისთვის — 630 000 000, სოციალურ რეაბილიტაციასა და ბავშვებზე ზრუნვაზე — 20 000 000, ჯანმრთელობის დაზღვევისა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის — 475 000 000, ჯანდაცვის სხვა პროგრამებზე — 177 000 000, სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვას 35 000 000 მოხმარდება, ხოლო სხვა დანარჩენი ხარჯებისთვის 50 000 000 ლარია გათვალისწინებული.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, 2015-2016 წლებში, საქართველოში პენსიების ზრდაა დაგეგმილი. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, ნოდარ ხადურს არ დაუსახელებია ციფრი, რამდენი ლარით გაიზრდება პენსია გაისად, რადგან უახლოესი ორი თვის განმავლობაში, ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროები, სწორედ ამ საკითხზე იმუშავებენ.

„2015 წელს პენსია გაიზრდება, მაგრამ რა მოცულობით, ეს უახლოესი ორი თვის განმავლობაში გაირკვევა. მიუხედავად ამისა, 2015 და 2016 წლებში, პენსია ყველასთვის გაიზრდება. მეტიც, პედაგოგების შრომის ანაზღაურებაც იზრდება. განათლების სამინისტროს აქვს თავისი მოდელი, მაგრამ ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ, რომ ოპტიმალური ვარიანტი მივიღოთ“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 2015 წლიდან, საქართველოში პენსია აუცილებლად გაიზრდება. თუმცა ასეთი ზრდის მოტივი ეკონომიკური კი არა, პოლიტიკურია: **„პენსიის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული, საპენსიო უზრუნველყოფის მუხლში დაფიქსირებული თანხის ხარჯზე. საპენსიო უზრუნველყოფის მაჩვენებლის გასაზრდელად, სხვა საბიუჯეტო წყაროს გამოყენება არ შეიძლება. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს, საპენსიო უზრუნველყოფის მუხლი 35 000 000 ლარით იზრდება. ეს არის თანხა, რომლითაც 2015 წელს პენსია გაიზრდება, რაც ძალიან ცოტაა. ბუნებრივია, ეს მომავალი წლის იანვრიდან, ან თუნდაც მარტიდან ვერ მოხდება. 35 000 000 ლარი ცოტაა და მთელი წლის განმავლობაში პენსიის ზრდას არ ეყოფა, თუმცა 2015 წლის მეორე ნახევარი პოლიტიკურად ცხელი პერიოდია — 2016 წელს საპარლამენტო არჩევნები გველის. ამ ფონზე, სავარაუდოდ, პენსია 2015 წლის მეორე ნახევარში, სექტემბრიდან გაიზრდება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას სწორედ ასეთი გათვლა აქვს, ანუ ამ გადაწყვეტილებას ეკონომიკური სარჩულის ნაცვლად, პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად. ხელისუფლების პოლიტიკური მოტივი კი, სულ რაღაც 35 000 000 ლარი ღირს, რაც პენსიონერთა რაოდენობის გათვალისწინებით, მთავრობას მაქსიმუმ ოთხი თვე ეყოფა. ეს ნიშნავს, რომ პენსია 2015 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში, დაახლოებით, 10 ლარით მოიმატებს. თეორიულად შესაძლებელია, 5 ლარით მატება მოხდეს და პროცესი სექტემბრის ნაცვლად, 2015 წლის მაისიდანაც დაიწყოს. თუმცა არ მგონია, ხელისუფლებამ თავი სასაცილოდ აიგდოს“.**

ლიბერთი ბანკის ფილიალებში თვითმომსახურების ტერმინალები განთავსდა

ტერმინალების საშუალებით, მომხმარებლები მობილურ ბალანსს შეავსებენ, სხვადასხვა სესხს დაფარავენ და კომუნალურ გადასახადებსაც გადაიხდიან

ლიბერთი ბანკი ელექტრონული არხების განვითარებას აგრძელებს. დღეიდან, ბანკის ყველა სერვისცენტრში 200-ზე მეტი თვითმომსახურების ტერმინალი განთავსდა. ამ ტერმინალების საშუალებით, შესაძლებელია ლიბერთი ბანკის ყველა ანგარიშის შევსება, სესხების დაფარვა და სხვადასხვა კომუნალური გადასახადის გადახდა.

ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, **სანდრო რთველაძემ** აღნიშნა, რომ სერვისცენტრებში განთავსებული თვითმომსახურების ტერმინალები, კიდევ უფრო მეტად შეამცირებს ოპერატორებთან განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობას. მეტიც, ასეთი მომსახურებით, ლიბერთი ბანკის ფილიალები განიტვირთება და რიგებიც შემცირდება: **„ლიბერთი ბანკის სერვისცენტრებში განთავსებული თვითმომსახურების ტერმინალებით შესაძლებელია, რომ ბანკის ყველა ანგარიში შეავსოთ, ყველა სესხი დაფაროთ და სხვადასხვა კომუნალური გადასახადებიც გადაიხადოთ. საბანკო ანგარიშების, ასევე მობილური ბალანსის შევსება და სესხების დაფარვა საკომისიო გადასახადის გარეშე შეგიძლიათ. რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს, მათი დაფარვის საკომისიო, ოპერატორებთან განხორციელებული ტრანზაქციების იდენტურია“.**

რთველაძის განცხადებით, ლიბერთი ბანკში, კომუნალურ გადასახადებზე დარიცხული საკომისიო ბევრად ნაკლები გამოდის, ვიდრე სხვა მომსახურების აპარატებში. შესაბამისად, თვითმომსახურების ტერმინალებით სარგებლობისას, ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს წყლის, გაზისა და დენის გადასახადების გადახდისას, იგივე საკომისიო დაერიცხებათ, რაც აქამდე ერიცხებოდათ.

სანდრო რთველაძის განმარტებით, იმ პენსიონერებსა და მოქალაქეებს, რომლებმაც თვითმომსახურების ტერმინალებით სარგებლობა არ იციან, სხვადასხვა ტრანზაქციების განხორციელებისას, ბანკის ოპერატორები დაეხმარებიან.

2014 წლის ოქტომბრის ბოლომდე, მსგავსი მომსახურება „ნოვა ტექნოლოგის“ 4 000-მდე აპარატშიც ჩაირთვება. ამჟამად, ტრანზაქციების 60% უკვე დისტანციური არხებით ხორციელდება.

მაია მიშელაძე



პატიმარი №0578

სისხლის აღების ზონაზე

როგორ ამოხოცა რუსტამმა შვილის მკვლელები და რისთვის დამარხა მიწაში 8 ტონა თაფლი

ხევსურები, ფშავლები, სვანები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები... ისინი სისხლის აღების ინსტიტუტს დღემდე მისდევენ და ამის გამო, ციხეშიც ხვდებიან. არ გეგონოთ, ციხე საშველი იყოს — მოკლულს ახლობელი იქაც გამოუჩნდება და თუ ადმინისტრაცია დროზე არ ჩაერია, შესაძლოა, მორიგი მკვლელობა მოხდეს. რუსთავის №17 ზონაში, ერთ დღეს ახლადმოყვანილ პატიმრებში ისეთი გამოერია, ვის მიერ მოკლულის ძმაც ამავე ზონაზე იჯდა. მკვლელი მოკლულის ძმას ცნობდა, გარდაცვლილის ძმას კი წარმოდგენა არ ჰქონდა, ღამე საკანში ვინ შეუყვანეს. მკვლელმა ღამე თეთრად გაათენა. დილით ოფიცრებს გამოუტყდა და ნახევარ საათში სხვა დაწესებულებაში გადაიყვანეს...

რუსტამ ჩ-ც რუსთავის №17 დაწესებულებაში იჯდა. ერთი 15 წელი დამთავრებული ჰქონდა და მეორეს იხდიდა. ორივე შემთხვევაში მისი დანაშაული განზრახ მკვლელობა იყო. ერთი შეხედვით, მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მისი ბეგრაუნდის გათვალისწინებით, ყველა ერიდებოდა. მის ისტორიას ლეგენდასავით ჰყვებოდნენ, მაგრამ რეალურად რა მოხდა, არავინ ეკითხებოდა. გარეთ ცოლშვილი ელოდა, შვილიშვილებიც და სულ იმის ნატვრაში იყო, ისე არ მომკლა, ჩემ შვილიშვილს, ტელევიზორში რომ დიდი ჯიპი მყავს ნანახი, ისეთი ვერ ვუყიდოო. ეკითხებოდნენ, რით აპირებ ყიდვასო და ისიც ღიმილით პასუხობდა, მთაში განძი მაქვს დამარხულიო.

რუსტამი ახალ კორპუსში, პირველ სართულზე, კამერაში იყო. ერთ დღეს სიგარეტი გაუთავდათ. 14 კაციდან მოსაწევი არავის ჰქონდა და ზემოთა კამერას ასძახეს, ძაფით ჩამოგვაწოდეთო. ერთი კოლოფი ჩაუშვეს, მაგრამ 14 კაცს ორ მოწევაზე არ ეყო. მერე რუსტამამ ასძახა, №0578 პატიმარს ჩემი სახელით სთხოვეთო. კამერა გაისუსა, პატიმარი ისვენებდა და შეწუხება აზრადაც არავის მოსვლია. №0578-მა ყველაფერი გაიგონა, საკნის კართან მივიდა, ოფიცერს დაუძახა და უთხრა, „კაზიოლების“ კამერაში ჩადი, ერთი ბლოკი „ვინსტონი“ გამოართვი და ქვედა კამერას მიუტანე, დანარჩენს დილით თავად მივხედავო...

მეორე დღეს რუსტამი კამერაში ავიდა, ერთი ბლოკი „ვინსტონი“ მაგიდაზე დადო, №0578-ს თვალი ჩაუკრა და გასვლა დააპირა, მაგრამ პატიმარმა შეაჩერა, ჩაიზე დაპატიჟა, მერე კი შინაურულად უთხრა, ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ, რატომ მთხოვე ის, რასაც სხვა ვერ გააკეთებდა?!

„ვიცოდი, უარს არ მეტყოდი. ისიც ვიცოდი, თუ არ დაგიბრუნებდი, მომთხოვდი. სულ ეგ იყო“, — გაიღიმა რუსტამმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ზონაზე ჩოჩქოლი ატყდა. პატიმრების ახალი ნაკადი მოიყვანეს და რუსტამი ვიღაცას მოკვლას უპირებსო. თქვეს თუ არა, №0578 კამერიდან სირბილით გავიდა. მაყურებლების კამერაში აურზაური იყო, სამ კაცს რუსტამი ეჭირა, ერთი ახალი პატიმარი კი კუთხეში მოკუნტულიყო და იხვეწებოდა, არ მოუშვათ, მომკლავსო. ბოლოს რუსტამი გაიყვანეს, ადმინისტრაციამ კი ახალი პატიმარი სხვა ზონაზე გაუშვა. მეორე დღეს №0578-მა რუსტამი თავისთან აიყვანა, გვერდით მოისვა, თვალებში შეხედა და პირდაპირ უთხრა — მოყევი და დაისვენე რა, რუსტამ... მანაც ჯერ თავი ჩაქინდრა, მერე კი თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო, მძიმედ დაიწყო.

„სამი შვილი მყავდა. უფროსი 14 წლის იყო, როცა მეზობლებმა სანადიროდ წაიყვანეს. საღამოს შინ ყველა დაბრუნდა ჩემი შვილის გარდა. მეზობელმა მითხრა, სახლისკენ წამოვიდაო. ბევრი ვეძებეთ და მეორე დილას შუაგულ ტყეში ვიპოვეთ. ნადირს ჰყავდა ნახევრად შეჭმული. მთელი სხეული დავუთვალიერე და საფანტის სამი ბურთულა ვუპოვე. მეზობლებმა, რომლებსაც სანადიროდ ახლდა, კაცი გამომიგზავნეს და შემომითვალეს, შემთხვევით გაგვივარდა, მერე შეგვეშინდა და ტყეში დავაგდეთო. ჩემი შვილი მგლების საჯიჯგნად გაიმეტეს, ეგონათ, სულ შეჭამდნენ და ვერაფერს დავამტკიცებდი...

ორი თვე ვყარაულობდი მაგათ სახლს. ერთ დღეს, როცა ქალები და ბავშვები სახლიდან გავიდნენ, ფანჯარაში „ლიმონკა“ შევაგდე. სამი კაცი მოკვდა. რა თქმა უნდა, დამიჭირეს. დახვრეტის მუხლი მომცეს, სიკვდილმისჯილების საკანში ჩამსვეს. მეორე დღეს ოფიცერმა მკითხა, რა გჭირსო?! სარკეში ჩავიხედე და 24 წლის ჯანღონით სავსე კაცის ნაცვლად, თეთრთმიანი მოხუცი დავინახე. ერთ ღამეში გავთეთრდი, ტკბილი ყოფილა სული...

დახვრეტის მუხლი 15 წლით შემიცვალეს. ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე კი, „უდო“-თი გამიშვეს. 14 წელი და 9 თვე ვიჯექი. ოჯახი ბარში იყო გახიზნული. სოფლიდან წამოვედით. ზოგადად, ჩვენი სოფელი მაღალმთიანობის გამო დაიცალა და გაუკაცრიელდა. მამაპაპისეული სახლი დამწვარი დამხვდა. 300 სკა ფუტკარი მყავდა, გაველურებულიყვნენ, ტყე ფუტკრით იყო სავსე. ორ თვეში რვა ტონა ნატურალური თაფლი მოვაგროვე და რადგან ქალაქში წამოღების შანსი არ მქონდა, მიწაში ჩავმარხე. ჩემს გარდა ვერავინ მიაგნებს...

იმ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა შემომითვალა, სადაც გნახავ, მოგკლავო. ერთმანეთს რვა თვის თავზე შევხვდით. პოლიციელის გვერდით იდგა. დამინახა თუ არა, იარაღი ამოიღო. სროლა დავასწარი. პოლიციელმა მოიმარჯვა იარაღი და იმასაც ვესროლე. ორივე ადგილზე მოკვდა, მე კი გავიქეცი. ორი წელი ვიმალებოდი. დაკავების ოპერაციის დროს, კიდევ ორი პოლიციელი შემომაკვდა. დახვრეტის მუხლი აღარ იყო და 15 წელი მომცეს. კიდე კარგი, ეს დიდი სროკები მაშინ არ იყო, თორემ 30-40 წელს მომისჯიდნენ. მეთოთხმეტე წლის ათვლა დავიწყე და გავალ მალე. იმ თაფლის გაყიდვას ვაპირებ ჯიპის საყიდლად. გულზე მკურნალობა მჭირდება. დიაბეტიკიც გავხდი... მთავარია ცოცხალი გავიდე და მივხედავ თავს“, — დაასრულა რუსტამმა.

„გულახდილად თქვი, ამდენი ხალხი რომ დახოცე, ან არ გესიზმრება, კოშმარებს არ ხედავ?! ან ის კაცი ვინ იყო, ამას წინ რომ კლავდი“

თავიდან მესიზმრებოდა, პირველ სროკზე. დღეს, კოშმარი კი არა, ქალიც აღარ მესიზმრება და ეგაა კოშმარი. დრო რომ დავაბრუნო, იგივეს გავაკეთებდი — ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. დასახოცები იყვნენ. ის კაციც მოსაკლავი იყო, ეგეც ახლდა მაშინ სანადიროდ და სიმართლე მაგანაც დამალა. მაშინ ვერ მოვასწარი მოკვლა და აქ გადავეყარე“...

რუსტამს სასჯელების ერთი მეოთხედით განახევრებამ მოუსწრო. იცინოდა, იმდენ ხანს ვიჯექი, აქეთ დარჩებათ ჩემი ვალიო. ერთ დღეს დაუძახეს, გადიხარო. ზონა უკვე იკეტებოდა. რუსტამმა ძლივს მოასწრო ნაცნობებთან გამომშვიდობებოდა. №0578-ს კრიალოსანი დაუტოვა, რომ გამოხვალ, დამიბრუნე, ორი სროკი გამატარებინაო. დილით პატიმრებმა რუსტამის მიერ დატოვებულ მობილურზე დარეკეს. შვილმა გააგონა და ტირილით უთხრა, მამა როგორც კი მოვიდა სახლში, ერთი გადაგვხედა, გაიღიმა და გული გაუსკდა, სამ დღეში ვასაფლავებთო. თავისუფლებაზე გასვლის შემდეგ №0578-მა რუსტამის ოჯახი დაძებნა, კრიალოსნის დაბრუნება უნდოდა, მაგრამ უთხრეს, აქ ყველაფერი გაყიდეს და საქართველოდან წავიდნენ, შურისძიების შეეშინდათო...

ოკუპირებული საქართველო

რაულ ხაჯიმბა ენგურზე ხუთი გადასასვლელის ჩაკეტვას აპირებს

„ამას აფხაზების წინააღმდეგობა აუცილებლად მოჰყვება“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ენგურზე, ადმინისტრაციულ საზღვარზე, გადაადგილების შეზღუდვას და ექვსი „გამშვები პუნქტის“ ნაცვლად, ერთის დატოვებას აპირებს. ამის შესახებ ხაჯიმბამ თავად განაცხადა აფხაზეთის ეროვნული ერთობის ფორუმის პოლიტსაბჭოს სხდომაზე. დე ფაქტო პრეზიდენტი თანაპარტიელებს დაპირდა, რომ „საქართველოსთან საზღვარს გაამაგრებს“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია** აცხადებს, რომ ხაჯიმბას ამ გადაწყვეტილებას აფხაზეთში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვება: **„რბილად რომ ვთქვა, გამიკვირდა, როცა ამ გადაწყვეტილების არგუმენტად ხაჯიმბას მოჰყავს საქართველოს მხრიდან თითქოსდა რევანშისტული განცხადებები. ეს ცილისწამებაა. ვის სჭირდება ყურით მოთრეული რევანშიზმი? როცა წყარო არ სახელდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აფხაზურ საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმია. აღარაფერს ვამბობ კონიუნქტურაზე, რომელიც ამ განცხადებით ხაჯიმბას, როგორც პარტიული ლიდერის პოზიციების განმტკიცებას ემსახურება. აამოქმედონ თავიანთი რესურსები აფხაზეთის ტერიტორიაზე და სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გაუქმებით თავისგამოდება აღარ დასჭირდებათ. ხალხის ტანჯვა-შეშინება, არ მგონია, ე.წ. ლიდერის პოზიციას წაადგეს. ამას წინააღმდეგობა აუცილებლად მოჰყვება, უპირველესად, აფხაზებიდან. არა მგონია, დღეს დაძაბულობა რომელიმე მხარეს, მათ შორის, აფხაზებს აწყობდეთ. იმედია, ამ განზრახვას სისრულეში არ მოიყვანენ. ვფიქრობ, დრო გავა და გადაწყვეტილებები უფრო პრაგმატული გახდება“.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, **პაატა ზაქარეიშვილის** განცხადებით, ხუთი გამშვები პუნქტის დახურვამ, შესაძლოა, გამყოფი ხაზის გასწვრივ ვითარება დაძაბოს და უსაფრთხოების პირობები გააუარესოს. ზაქარეიშვილი იმედოვნებს, რომ აფხაზური მხარე პოზიციას გადახედავს: **„გამყოფ ხაზზე გადასასვლელი დამატებითი 5 გამშვები პუნქტი 2013 წელს გაიხსნა. ეს ნაბიჯი აღქმული იყო, როგორც აფხაზური მხარის კეთილი ნება, რომელიც მიმართული იყო გალის რაიონის, ისე მთლიანად აფხაზეთის ტერიტორიაზე და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებისკენ. პუნქტების გახსნამ ხელი შეუწყო ადგილზე ვითარების განმუხტვას და გამყოფი ხაზის გასწვრივ უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მხოლოდ ერთი პუნქტი არ იქნება საკმარისი მოსახლეობის გადაადგილებისთვის. 5 გამშვები პუნქტის დახურვამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გამყოფი ხაზის გასწვრივ ვითარების დაძაბვა და უსაფრთხოების პირობების გაუარესება. იმედია, ბატონი ხაჯიმბას ამ განცხადებას გადახედავენ“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ყოფილი საგარეო მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი** აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი გაართულებს გალელი ქართველების კონტაქტს ზუგდიდის რაიონთან, რასაც მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მისივე თქმით, ამით, გალისა და ზოგადად, აფხაზეთის მოსახლეობის დანარჩენ საქართველოსთან დაახლოების შეფერხება სურთ: **„ამით შეიძლება დაინტერესებულები იყვნენ ის ძალები, ვინც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების წინააღმდეგია და არ სურს მოვლენების ამ გზით განვითარება. ვიღაცის ავადმყოფურ გონებაში შეიძლება ასიმილაციის ფანტასტიკური გეგმაც არსებობდეს, თუმცა მისი რეალიზაციის ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავ. ყველა ამგვარი მცდელობის ძირითადი შედეგი, არის და იქნება ვითარების დაძაბვა და იმ ბუნებრივი პროცესის შეფერხება, რასაც გახლეჩილი ორგანიზმის, ჭრილობების მოშუშება ჰქვია. ვისაც ეს არ სურს, ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს მდგომარეობა შეინარჩუნოს. იმედია, მათ მიზნებს ასრულება არ უწერია. საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობასთან აპელირება, ამგვარი დესტრუქციული ნაბიჯების შესახებ მათი ინფორმირება. უნდა ვეცადოთ, გამყოფი ხაზის იქით დარჩენილ მოსახლეობასთან დაახლოება“.**

ფერეიდანიც პატარა საქართველოა



ნათია ნოდია

თბილისიდან თეირანამდე ავტობუსით მივდივართ. მძღოლი ამბობს, დილას ათ საათზე დავიძრებით და მეორე დღეს, სამი საათის შემდეგ თეირანში ვიქნებითო. საღამომდე მაინც ვერ ჩავაღწიეთ ირანის დედაქალაქამდე. ავტობუსი სავსეა ირანელებით. მოსწონთ თბილისი და ტყავში ძვრებიან, როგორმე აქ ბიზნესი ააწყონ ან საბოლოოდ დამკვიდრდნენ. აქაური ბუნება აოცებთ. ბორჯომში ფანჯრებს მიაწყდებიან და „ზიბა, ზიბა“ (ლამაზი) გაიძახიან. რამდენიმე მგზავრს ქართულ-სპარსული სასაუბრო ჩაურთავს და ცდილობს, სიტყვები გამოთქვას. უჭირთ, რადგან მათ ენაში ფ, წ, ყ, ტ და კიდევ რამდენიმე თანხმოვანი არ არის. ერთ ოჯახს თეირანის დატოვება და საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლა განუზრახავს. მინდა, გავქართველდეო, — გვეუბნება ოჯახის უფროსი. გადმოსვლამდე ირანში საქმეები უნდა მოაგვარონ. მერე კი... თავადაც არ იციან, რა იქნება. სამაგიეროდ, იმაში არიან დარწმუნებულები, რომ ქართველები პატიოსანი და ალალი ხალხია. ირანში ჩასვლამდე თურქეთი უნდა გავიაროთ. ხრიოკ მინდორზე კანტი-კუნტად ჩაუდგამთ დაბალსართულიანი სახლები. ბევრად უკეთესი სოფლები გვაქვს-მეთქი, ვფიქრობ. სამაგიეროდ, თურქეთის ქალაქებით განხიბვლაა შეუძლებელი — ლამაზი შენობები, ზღაპრულად გაფორმებული ქუჩები... „ესენი განათლებული მუსულმანები არიან“, — მიხსნის ირანში მცხოვრები ქართველი. ვამჩნევ ირანში სავალდებულო კანის დაფარვას — დიახ, კანის გამოჩენა არ შეიძლება. მაგალითად, რძალს მაზლის წინაშეც ეუხერხულება მოკლესახელოიანის ჩაცმა. თუ სათანადო სამოსი არ აღმოგაჩნდა, სიშიშვლის დასაფარად, ე.წ. საგანგებო მკლავებს გაწვდის მასპინძელი. ირანულად ვიმოსები რძალს და დედამთილს რომ არ ვაწყენინო, თორემ ჩემს მეუღლეს პრობლემა არ აქვს. მიბოდიშებს კიდეც ძველქართულად, კახური კილოთი.

თეირანში რამდენიმე დღე ახალგაზრდები საპროტესტო აქციებს აწყობდნენ, ამერიკულ სანქციებს ეწინააღმდეგებოდნენ. ქვეყანაში დაძაბულობა იშვიათად ხდება ხალხის აღშფოთების მიზეზი. ლოგიკა ისაა, რომ პროტესტანტებს ისე არბევს პოლიცია, ხშირად მათ გზა-კვალსაც ვეღარ პოულობენ. ამბობენ, ირანში კარგად ცხოვრობენ, ნავთობის დიდი მარაგი და ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი რესურსები აქვთო. ეს ფუფუნება ქვეყანაში ბოლო დროს ნაკლებად იგრძნობა. ცხოვრება გაჭირდა. პროდუქტი დღითიდღე ძვირდება და ამაზე პასუხისმგებელი არავინაა. გაიზარდა გადასახადებიც. გაზი ძვირია, რადგან ირანი მეზობელ ისლამისტურ ქვეყნებს უანგაროდ ეხმარება. იქამდე მიდის ე.წ. სპარსული ალტრუიზმი, რომ ქალაქების ქუჩები სავსეა ერაყში დაღუპული მებრძოლების სურათებით. ეს პატივისმიგების ერთგვარი ფორმაა. დაღუპულების, ე.წ. შაჰიდების ოჯახების წევრები, უპირატესობებით სარგებლობენ — მაღალანაზღაურებად სამსახურს აძლევენ, ფინანსებით ეხმარებიან, შვილებს უკონკურსოდ აწყობენ უმაღლეს სასწავლებლებში.

თეირანიდან ქართველებით დასახლებულ რეგიონ ფერეიდნამდე კომფორტული ავტობუსით 8 საათს ვმგზავრობთ. სანახაობა არც თუ მრავალფეროვანია. სახლების უმეტესობა ორ და სამსართულიანია. შენობების ფასადით ვერ მოიხიბლებით. სამაგიეროდ, ინტერიერი აქვს უმრავლესობას მდიდრულად და გემოვნებით მოწყობილი. ბარის ტიპის სამზარეულოები, კარგი ტელევიზორი და აპარატურა უყვართ. სახლის მთავარი ატრიბუტი ხალიჩაა, რომელსაც უფრთხილდებიან და ყოველ დღე, რუდუნებით ასუფთავებენ. მასზე ფეხსაცმლით არ გაივლიან. ფერეიდანში მკაცრი კლიმატია. ჩვენ რომ კარმას ვუწოდებთ, ისინი, ძველქართულად, ბუხარს ეძახიან.

ფერეიდანში ქალაქ მარტყოფს ვსტუმრობ. ჩასვლის დღიდანვე ჩემი მეუღლის, ლევანის ნათესავები და ახლობლები იკრიბებიან. თვენახევარი ვიყავით 8 თვის ელენესთან ერთად და ყოველ საღამოს სტუმრად (ყონაღად) გვპატიჟებდნენ. სუფრის ბოლოს საჩუქრებს გვახვედრებდნენ. ასე, ყონაღობაში მიდის ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრების დღეები. ალკოჰოლური სასმელი, აზარტული თამაშები და მსგავსი გასართობი სასტიკად აკრძალული და დასჯადია.

შორიდან მოიკითხავენ ხოლმე თვისტომს, რაზეც ჩემი მეუღლე ბრაზდება: „ირანელებით აივსო საქართველო და ესენი აქაურობას ვერ გამოსცილდნენ, რომ სამშობლო ერთხელ მაინც ნახონ“. მით უფრო, პატრიარქმა არაერთხელ მოუწოდა იქაურ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ. „ომი და განუკითხაობა თუ დაიწყო, ეს ქორდები ჩამოვლენ და საკუთარი სახლების დატოვებას მოგვთხოვენ. იარაღი აქვთ. თავი უნდა შევაკლათ, ან დროზე მივაგნოთ გზა-კვალს. რა ვქნათ? სამსახურს ვერ ვტოვებთ. ღმერთს როგორც უნდა, ისე იქნება. თუ უნდა ჩვენი დაბრუნება, ასეც მოხდება“, — ამბობს ჩემი მაზლი. ლევანი ასეთ თავმინებებაზე ბრაზობს: „თეფში უფრო ცხელია, ვიდრე საჭმელი“, — ფერეიდნელი ქართველები უფრო აკლავენ თავს ირანს, ვიდრე თავად ირანელებიო.

არიან მუსულმანობაში მეტად გადავარდნილი ფერეიდნელი ქართველებიც. მათი უმრავლესობა ირანის მმართველობას, ანუ თეოკრატულ წყობილებას უჭერს მხარს. ისეთებიც მრავლად ვიცით, წინაპრების სარწმუნოებას რომ დაუბრუნდა. ზოგადად, რწმენა ერთ-ერთი ფაქტორია, რამაც ფერეიდნელი ქართველი ესოდენ მიაჯაჭვა ირანის მიწას. სპარსები შიიტები არიან. მათსა და სუნიტებს შორის განსხვავება მუჰამადის პერიოდიდან იღებს სათავეს. ერთ-ერთ შეკრებაზე, როცა მემკვიდრე უნდა დაესახელებინა, მან თავის სიძეზე, ალიზე მიანიშნა, ეს იქნება ჩემს შემდგომო. თუმცა მუჰამედის მერე ქვეყანა ოთხად გაიყო და ალის მმართველობა ერთ-ერთ მეოთხედში მოუწია. დღეს, ვინც ალის უპირატესობას აღიარებს, შიიტია. ვინც მეოთხე მოციქულად მიიჩნევს — სუნიტი (ეს დაყოფა ხალხის ნების საფუძველზე მოხდაო, ამბობენ). ისლამის მიმდევრებს სარწმუნოება მრავალცოლიანობის უფლებას აძლევს. ამგვარი ოჯახი არც თუ შორეულ წარსულში, ფერეიდანშიც კი არსებობდა.

ფერეიდნელი ქართველი ქალი გვიამბობს: ჩემმა კაცმა ჯერ მე მითხოვა, ბად (მერე) მეორე ქალი. აველად (პირველად) ნამა (კარგად) ვცოცხლობდით, მინამ მესამე დედაკაცი არ მოისურვა და ბად აირია სუ ჩონ სიცოცხლე.

როგორც აღმოჩნდა, ბავშვების გამო წაეკიდნენ ცოლები ერთმანეთს და ოჯახური იდილიაც დაირღვა.

ახლა მრავალცოლიანობა ფერეიდნელ ქართველებში პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა თითო-ოროლა გამონაკლისი მაინცაა. თანაც დღევანდელ ირანში ქალი მეტად გასათუთებულია. კაცს ქორწინებამდე ბევრ რამეს, ხელფასიდან პროცენტსაც თხოვს. თავადაც მიაქვს მზითვი, თუმცა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც კაცს ევალება ქორწინებისთვის. როცა ფერეიდნელი ქართველები საქართველოს დაუბრუნდნენ, ძალიან გაუკვირდათ მრავალთაობიანი ოჯახები — ისინი ქორიწინებისთანავე გამოდიან მამისეული სახლიდან და ცალკე ფუძნდებიან. მათი უმრავლესობა კარგი მეოჯახეა.რომ იტყვიან, კაპიკს კაპიკზე აწეპებენ. დიდი ხელგაშლილობით არ გამოირჩევიან. ბევრი საქმე ეხერხებათ — შეუძლიათ კარგი სანტექნიკოსობა, მეურნეობის გამართვა და გონებრივი შრომაც. იშვიათი გამონაკლისების გარდა, გამრჯე და მუყაითი ხალხია. ალალები არიან და უმალ პირში მოგახლიან, ვიდრე დაგიმალავენ სათქმელს. კიდევ ერთი თვისება ახასიათებთ — ზეპატრიოტიზმი. „მათ სარწმუნოება წაართვეს, ამიტომ უმრავლესობა ათეისტია და ძნელად თუ მოექცევა რწმენის ქვეშ. ერთადერთი, რაც სათაყვანებლად დარჩათ საუკუნეების მანძილზე, სამშობლოა“, — ამბობს ფერეიდნელის მეუღლე ქალბატონი მედეა.ჯ მეც მაკვირვებდა მათი პათოსი და ცოდვა გამხელილი სჯობს, გადაჭარბებულიც მეგონა., სანამ იქაურს გავყვებოდი ცოლად. დავრწმუნდი — ამას ვერ ითამაშებ. ფერეიდანში ქართველებისთვის საქართველო გაიდეალებულია. ისე, ფერეიდანიც პატარა საქართველოა, ოღონდ ირანის პირობებში. იქაურები კი ტიპური კახელები არიან, ფიზიონომიითა და იუმორით. ამაყებიც არიან, ოღონდ გადაჭარბებული დოზით — არასოდეს მოვითხოვთ, რახან საქართველოში დავბრუნდით, ბინები გადმოგვეცით, არ გვინდა უპოვრებად მიგვიჩნიონო, ხშირად ამბობენ და სჯერათ, რომ დადგება დღე, როცა იქეთ დარჩენილი ქართველობა, ცისარტყელას ქვეშ გამოძვრება და მშობლიურ ფესვებს დაუბრუნდება.

 პრობლემა

ინგილოები საქართველოს ხელისუფლებას სავიზო რეჟიმის გამარტივებას სთხოვენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ისტორიულ ჰერეთში მცხოვრები ქართველები, თბილისთან სავიზო რეჟიმის გამარტივების მოთხოვნით, ხელმოწერებს აგროვებენ. როგორც საინგილოდან „ვერსიას“ აცნობეს, მიმართვას საქართველოს მთავრობას უახლოეს დღეებში მიაწვდიან. ადგილობრივები ხელისუფლებას თანადგომას სთხოვენ: **„მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა, გაამარტივოთ სავიზო რეჟიმი და შეგვიმსუბუქოთ ამ რეჟიმით გამოწვეული რთული პროცედურები. პრობლემები შეექმნათ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოში მცხოვრებ და მომუშავე ინგილოებს, რომლებმაც გადაწყვიტეს, იცხოვრონ სამშობლოში; მათ ეუბნებიან, თქვენ და სხვა ქვეყნების მოქალაქეები ერთნაირი უფლებებით ისარგებლებთო. გართულებული სავიზო რეჟიმი, დიდი ფინანსები და უამრავი საბუთის შედგენა (რომელიმე სადაზღვევო კომპანიიდან ჯანმრთელობის დაზღვევის ცნობა 100-120 ლარი, 50 დოლარი საელჩოს ანგარიშზე, 5 ათასი ლარი რომელიმე ბანკის ანგარიშზე, განჯაში ორჯერ ჩასვლა და სხვა საბუთები) საინგილოს ქართველების ისედაც რთულ მდგომარეობას უფრო დაამძიმებს. ჰერელებს ყოველთვის ჰქონდათ გარკვეული შეღავათები და პრივილეგიები დედასამშობლოსთან დასაახლოებლად. ჩვენ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია. ჩვენი შვილები საქართველოში სწავლობენ-მუშაობენ და მათი იზოლირება, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა უარყოფით შედეგს მოიტანს“.**

1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც ვიზების გაცემისა და მიგრაციის ახალ რეგულაციებს განსაზღვრავს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გამკაცრდა, კერძოდ 1 სექტემბრიდან 24 ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში ვიზის გარეშე შემოსვლა არ შეუძლიათ.

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში შესული ცვლილებებით, 94 ქვეყნის წარმომადგენლები საქართველოში უვიზოდ გაჩერებას, ნაცვლად ადრე განსაზღვრული 360 დღისა, 90 დღის განმავლობაში შეძლებენ. უვიზო რეჟიმით ისარგებლებენ ევროპის ქვეყნების, ნატო-ს წევრი, დსთ-ს წევრი და საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეები. საქართველოში შემოსასვლელი ვიზა 50 დოლარი ღირს და მისი აღება საზღვრის გადმოკვეთისას აღარაა შესაძლებელი. საქართველოს ვიზა მხოლოდ ქვეყნის ოფიციალურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში გაიცემა.

1. ბოჭკოვანი თეთრი მინერალი
2. პოლონეთის ეროვნული ვალუტა
3. დროის დიდი მონაკვეთი
4. თეთრი ან მომწვანო რბილი მინერალი
5. მაკლერი, შუამავალი ბირჟაზე
6. მედლის უკანა მხარე
7. გიორგი თუშურაშვილის მეტ-სახელი
8. უკრაინის პარლამენტი
9. ძველი ბერძენი დრამატურგი
10. (მუს.) ტემპის თანდათან შენელება
11. რუსული ავტომარკა
12. მთავარი აზრი, რაობა
13. ტროპიკული ხილი
14. უძველესი იტალიური ტომი
15. ყველაზე მაღალი წოდება ინდუიზმში
16. ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი
17. მილანის სურათების გალერეა
18. სამხ. ამერიკული მტაცებელი თევზი
19. ინდონეზიის კუნძული
20. შლამის თევზი
21. ნაღვლიანი ლექსი
22. შეკვიბრების დაწყების მომენტი
23. აფხაზური ცხარე საწებელი
24. წიწვოვან მცენარეთა ყავიოლოგი
25. პირველი საკონცერტო. ბახაკი
26. მაყორის ანტონიმი
27. იგივეა, რაც მინანქარი
28. სოფელი ადიგენის რაიონში
29. ტრაპიკული უღრანი ტყე
30. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
31. ფრანგული თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში
32. ნაპოლეონის კარის მხატვარი
33. საბრძოლო მასალის სახეობა
34. აფროდიტეს სატრფო
35. ძვ. ეგვიპტის მზის ღვთაება
36. ქალაქი საფრანგეთში
37. იგივეა, რაც აკუშერი
38. აშშ-ის შტატი
39. ებრ. რეპატრიაციის ალტ. სამშობლოში
40. ცხელი ალკოჰოლური სასმელი
41. სოფელი ონის რაიონში
42. გერმანიის ეროვნული ვალუტა
43. არგენტინული წარმოშობის საბალო
44. პიანისტი ... ვირსალაძე
45. ომარ ხაიამის სალექსო ფორმა
46. ყოფილი ფრანგი ჩოგბურთელი
47. წამლის ბურთულა
48. თვალის ფერადი გარსი
49. უბედურების საერთაშ. სიგნალი
50. ძველებური ფრანგული ცეკვა ზომიერი ტემპით
51. ფარული დაცინვა
52. ოქროს ურდოს სარდალი
53. წესიერი ჰექსა-ედრი
54. საფეხურებიანი ასასვლელ-ჩასასვლელი
55. ღამის ფრინველი
56. გერმ. მოღვაწე ქართველი მსახიობი
57. ზმნის გრამატიკული კატეგორია
58. ბედუინების მოსასხამი
59. საფეიქრო ბანანი
60. ხვადის ანტონიმი
61. რუმინელი ფეხბურთელი

კლიენტების მოსაგიდად კერძებს ნარკოტიკს უმატებდა

აშშ-ში, ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონეს კლიენტების მოზიდვის ახალი მეთოდი ძვირი დაუჯდა. იმისთვის, რომ მის დაწესებულებას ხალხი არ მოკლებოდა, კერძებში ყაყაჩოს თესლს უმატებდა. სასამართლოზე აღიარა, რომ 2 კილოგრამი ყაყაჩოს თესლი 100 დოლარად შეიძინა და ამ ნარკოტიკული საშუალებით კლიენტებს მალულად უმასპინძლდებოდა. მისი საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, როცა ერთ-ერთ კლიენტს შარდში ოპიუმი აღმოუჩინეს. ახალგაზრდა კაცი ამტკიცებდა, რომ არასოდეს გაუსინჯავს ნარკოტიკი, თუმცა ორი კვირით მაინც დააპატიმრეს. ამ ხნის განმავლობაში მამაკაცი სულ იმაზე ფიქრობდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დაპატიმრების მიზეზი. ბოლოს გონება გაუნათდა და რესტორანი გაახსენდა, სადაც ივახშმა. მან ოჯახის წევრებს სთხოვა, იმ დაწესებულებაში იგივე კერძები მიერთვათ და მერე ანალიზი გაეკეთებინათ. ექსპერიმენტმა შედეგი გამოიღო. დაკავებული გაათავისუფლეს და ახლა სასჯელს რესტორნის მეპატრონე იხდის.

„აიფონისთვის" შეყვარებულს აქირავებს

ერთმა ჩინელმა სტუდენტმა „ბიზნესის კეთება" გადაწყვიტა, ფული რომ დაეგროვებინა ახალი აიფონ-6-ის შესაძენად და მსურველებს საკუთარი შეყვარებული შესთავაზა არც ისე მაღალ ფასად. ახალგაზრდა დღეების განმავლობაში იდგა შანხაის უნივერსიტეტის საცხოვრებელი კამპუსის წინ პლაკატით ხელში „გაგიყოფთ ჩემს გოგოს", აბრაზე მითითებული იყო ფასები და მის პარტნიორთან მოქცევის წესები ქირავნობის დროს. დაინტერესებულ პირებს ბიჭი მაშინვე უგზავნიდა შეყვარებულის ფოტოებს. თვეში 500 იუანად მსურველს შეეძლო



გოგონასთან შეხვედრა, მასთან ერთად სეირნობა, მეცადინეობა, თამაში და სადილი. გამქირავებელი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი ბიზნესი ხუმრობა არ იყო და პირობები მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს უჩვეულო ბიზნესი სტუდენტმა შეყვარებულის თანხმობით წამოიწყო, რომელმაც ამ აფერაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. მოაგროვა თუ არა საკმარისი თანხა აიფონის საყიდლად თავზეხელაღებულმა სტუდენტმა, ჯერ უცნობია.

მუყაოს მსახიობზე ეათხოვდა

რას არ აკეთებენ ფანები, ცოტათი მაინც რომ მიუახლოვდნენ საყვარელ მსახიობსა თუ მომღერალს. 25 წლის ამერიკელ ლორენ ადკინსს არც კი უფიქრია საკუთარ კერპთან — რობერტ პანტინსონთან მიახლოება, საქმე გაიადვილა და საკურთხეველთან „ბინდის" ვარსკვლავის მუყაოს ასლით მივიდა. როგორც ახალგაზრდა ქალი ამბობს, ბავშვობიდან ზღაპრების ჯადოსნურ სამყაროში ცხოვრობდა და თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ელოდა, მაგრამ არც ერთი თაყვანისმცემელი იდეალთან ახლოსაც არ იყო. „ბინდის" პრემიერაზე კი ეკრანზე დაინახა თუ არა პატინსონი, მიხვდა, რომ მხოლოდ მასზე სურდა გათხოვება. რამდენიმე თვის შემდეგ ვამპირ კალენის მუყაოს ასლს გადააწყდა და დაუფიქრებლად იყიდა. მას შემდეგ ამ ქაღალდს ყველგან დაატარებდა, მასთან ერთად სეირნობდა, ბოლოს კი გადაწყვიტა, საქორწინო ფიციც ამ მუყაოს მეგობართან დაედო. ქორწილი ლას-ვეგასში შედგა, რომელიც პატარძალს ორი ათასი დოლარი დაუჯდა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		6			4			
	5					2	6	
4	3		1			8		5
3			2				9	
				3				
	4				7			2
1		4			6		2	7
	2	9					5	
			7			1		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	6		3				9	8
3		8	1			6		7
			8					
		3			9		6	
9				4				2
	2		7			4		
					1			
5		2			7	8		1
4	7				8		5	

ᲠᲗᲣᲚᲘ

2								3
	3		4		2		9	
	5		3	9				8
		7		5		1		
4				7				6
		5		4		9		
3				1	5		6	
	9		6		4		5	
5								9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	5		8	1				
		7						5
3						2		
	8			6				1
2		1	9		3	7		4
7				2			6	
		9						3
1						8		
				3	6		7	

ᲒᲐᲔᲠᲝ ᲝᲗᲮᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲝᲔᲐ

გაერო-სთან არსებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოთხდღიანი სამუშაო კვირა უკეთესია, ვიდრე ხუთდღიანი. ეს თემა ბოლო დროს მეტად პოპულარული გახდა ბიზნესჯგუფებში. ახალ იდეას მხარს უჭერს „გუგლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლარი პეიჯი და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, მექსიკელი მილიარდელი კარლოს სლიმი. გაერო-ს ექსპერტები სამუშაო კვირის შემცირების სასარგებლოდ არგუმენტებსაც ასახელებენ. მათი აზრით, ეს მოსახლეობის ჯანმრთელობას წაადგება, რადგან თანამედროვე მსოფლიოში ბევრი დაავადება გამოწვეულია ზედმეტი მუშაობით, ოფისში დიდხანს ყოფნითა და სტრესით. მეორეც, მოკლე სამუშაო კვირა მეტი სამუშაო ადგილის გაჩენის შანსს იძლევა. კიდევ, სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები უფრო ნაყოფიერად მუშაობენ, როცა ცოტა ხანს საქმიანობენ. ექსპერიმენტებმა ისიც აჩვენა, რომ ვინც კვირაში 4 დღეს მუშაობს, თავს უფრო ბედნიერად გრძნობს და ბოლოს, ყველაზე წონიან არგუმენტად სპეციალისტები იმას ასახლებენ, რომ ერთ სამუშაო დღეზე უარის თქმა დადებითად აისახება გარემოზე, თუნდაც იმის გამო, რომ სამუშაოზე წასვლა და უკან წამოსვლა კვირაში რამდენიმე მილიარდით ნაკლები იქნება.

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲚᲐᲓ, ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲒᲚᲣᲢᲔᲜᲡ!

მაღაზიების დახლებზე, კაფესა თუ რესტორნებში სულ უფრო ხშირად შეხვდებით პროდუქტს წარწერით GLUTEN FREE და „ფრთხილად, გლუტენს შეიცავს“. რა არის ეს, ადამიანის ორგანიზმის ახალი მტერი — გლუტენი? გლუტენის საფრთხეს პირველად ყურადღება ამერიკელებმა მიაქციეს, თუმცა, ის დღეს მთელ მსოფლიოშია პოპულარული. 2010 წელს ამერიკულ ბაზარზე გამოსული ახალი პროდუქტის 10%-ზე აღნიშნული იყო, რომ ის გლუტენისგან თავისუფალია. ასეთი საკვების გაყიდვა კი 30%-ით გაიზარდა. საინტერესოა, რომ გლუტენის გარეშე პროდუქტს ბევრი სასარგებლოდ მიიჩნევს და წონაში დაკლებაშიც უწყობს ხელსო. მოდით გავერკვეთ, რით არის სასარგებლო ან მავნე გლუტენის არარსებობა საკვებ პროდუქტში.

გლუტენი — რთული ცილაა, რომელიც ბევრი მარცვლეული კულტურის (ხორბალი, შვრია, ქერი) შემადგენლობაშია. მისი აღმოჩენა პრაქტიკულად ყველგანაა შესაძლებელი: პურ-ფუნთუშეულში, მაკარონში, კანფეტში, კეტჩუპში, ძეხვეულში, იოგურტში, ლუდსა და კოსმეტიკაშიც კი! მისი ასეთი „საყოველთაობა“ მისივე თვისებას — მასა უფრო ელასტიური გახადოს — უკავშირდება, თუმცა, დღეს, სულ უფრო მეტი ადამიანი იტანჯება გლუტენზე ალერგიით. დაავადება გენეტიკურია და მას ცელიაკიას უწოდებენ. ამ სენის მქონე ადამიანის ორგანიზმში გლუტენის მოხვედრისას მძაფრი ანთებითი რეაქცია იწყება. შედეგად კი — ქრონიკული დიარეა, არასაკმარისი წონა, შაქრიანი დიაბეტი, ანემია, დეპრესია. საქმე ის არის, რომ იმუნური სისტემა გლუტენს უცხოდ აღიქვამს და ყველა საშუალებით უტევს მას. ამის გამო ზიანდება საჭმლის მომნელებელი ტრაქტი, ტვინი, გული, სახსრები და სხვა ორგანოები. სტატისტიკური მონაცემებით, დღეს მსოფლიოში ცელიაკიის დიაგნოზი მოსახლეობის 1%-ს აქვს დასმული, ხოლო გლუტენზე სხვადასხვა იმუნური რეაქცია ყოველ მესამე ადამიანს აღენიშნება.

საინტერესოა, რომ ბოლო 200 წლის განმავლობაში ცელიაკიით დაავადებულთა რაოდენობა პლანეტაზე 400%-ით გაიზარდა. სწორედ ამიტომაც დღეს ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. პირველ რიგში, ხორბალი, რომელსაც საკვებად ვხმარობთ, განსხვავდება იმ მარცვლეულისგან, რასაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ. მეორეც, კულინარიულმა და საწარმოო ექსპერიმენტებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ გლუტენის მოხმარებამ ერთ სულ მოსახლეზე, განვითარებულ ქვეყნებში, უცებ გადააჭარბა ასი წლის წინანდელს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ პროდუქტი წარწერით გლუტენ ფრეე, სამკურნალო კატეგორიაში გადის. მისი მეშვეობით გახდომა საკმაოდ რთულია, რადგან უგლუტენო პროდუქტი გაცილებით მეტ კალორიას შეიცავს და გაჯერებულია ცხიმებით, ვიდრე ჩვეულებრივი ანალოგები. მაგალითად, წიწიბურას ორცხობილას, რომელიც ხორბლისას ჰგავს, მწარმოებლები დიდი რაოდენობით შაქარს უმატებენ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	5	4	3	2	1	7	9	8
8	3	7	9	5	4	2	6	1
1	2	9	8	6	7	5	4	3
9	4	3	2	1	6	8	7	5
7	1	8	5	4	3	9	2	6
5	6	2	7	9	8	1	3	4
2	9	1	6	3	5	4	8	7
4	8	6	1	7	9	3	5	2
3	7	5	4	8	2	6	1	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	1	4	6	7	5	3	2	9
3	9	5	4	2	8	1	7	6
7	2	6	3	1	9	8	5	4
2	5	3	9	8	4	7	6	1
6	4	1	7	3	2	5	9	8
9	8	7	5	6	1	4	3	2
4	7	2	1	9	3	6	8	5
5	3	9	8	4	6	2	1	7
1	6	8	2	5	7	9	4	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	2	3	4	1	8	5	7	6
1	8	7	3	6	5	9	4	2
5	6	4	2	9	7	3	1	8
2	7	1	9	8	6	4	5	3
8	5	6	7	4	3	1	2	9
4	3	9	1	5	2	6	8	7
3	1	5	8	2	9	7	6	4
7	4	8	6	3	1	2	9	5
6	9	2	5	7	4	8	3	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	6	7	4	3	1	2	9	8
1	4	2	6	8	9	7	5	3
3	9	8	2	7	5	4	1	6
2	7	6	1	9	4	3	8	5
9	5	3	8	2	7	6	4	1
8	1	4	5	6	3	9	2	7
7	2	5	3	4	8	1	6	9
6	3	1	9	5	2	8	7	4
4	8	9	7	1	6	5	3	2

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	1	7	3	2	9	6	5	8
6	5	2	7	8	4	3	1	9
9	8	3	1	6	5	7	4	2
8	4	6	9	7	3	5	2	1
3	2	5	4	1	8	9	7	6
1	7	9	2	5	6	8	3	4
7	6	8	5	4	1	2	9	3
5	3	4	6	9	2	1	8	7
2	9	1	8	3	7	4	6	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	9	8	6	5	4	3	2	1
6	5	1	3	9	2	8	7	4
3	4	2	1	8	7	9	6	5
5	2	3	4	1	9	7	8	6
4	8	9	7	3	6	5	1	2
1	7	6	5	2	8	4	9	3
2	6	7	9	4	5	1	3	8
9	3	5	8	6	1	2	4	7
8	1	4	2	7	3	6	5	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	5	8	7	6	4	3	2	1
4	7	6	3	2	1	9	8	5
3	2	1	8	5	9	7	6	4
2	3	9	6	4	5	1	7	8
1	4	7	2	3	8	6	5	9
8	6	5	1	9	7	4	3	2
7	1	4	5	8	6	2	9	3
6	8	3	9	1	2	5	4	7
5	9	2	4	7	3	8	1	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	1	6	8	2	5	3	7	9
7	5	3	9	6	4	8	2	1
9	2	8	3	1	7	6	5	4
8	6	7	1	5	3	4	9	2
5	4	2	7	9	8	1	6	3
1	3	9	6	4	2	7	8	5
3	9	1	2	8	6	5	4	7
2	8	5	4	7	1	9	3	6
6	7	4	5	3	9	2	1	8

მე-10 გვერდი: 1. მოცხარი; 2. კრილოვი; 3. მანეკენი; 4. ციანკობალამინი; 5. ასტანა; 6. ილეთი; 7. კაფეშანტანი; 8. ინია; 9. ომერტა; 10. იდიომი; 11. ტყე; 12. ანოა; 13. ოლე; 14. აკირა; 15. დმანისი; 16. პფაიფერი; 17. არეოპაგი; 18. ერატო; 19. მატე; 20. კოკანდი; 21. ატრიბუტი; 22. კასანდრა; 23. ფშა; 24. არარა; 25. ნები; 26. მაკოლეი; 27. ლაიკა; 28. მონეტა; 29. მნე; 30. ინდიანა; 31. ალან; 32. „გრემიო“; 33. არენა; 34. ლაიმი; 35. ნევა; 36. ტორტილა; 37. რემა; 38. ისარი; 39. სერაპიონა; 40. მაისი; 41. ალა; 42. ასო; 43. მეი; 44. რაბატი; 45. ბანა; 46. ზმა; 47. ინარი; 49. ჭია; 50. დნმ; 51. მონა; 52. რაფა; 53. კოჭა; 54. ბიგუდი; 55. აბი; 56. მარინა; 57. რაფსი; 58. ონისე; 59. ეტი; 60. ნაი; 61. ზარზმა; 62. ონა; 63. ბმა; 64. აგა; 65. ტრიადა; 66. ასი.

მე-12 გვერდი: 1. კონტრაქტი; 2. დავოსი; 3. კობრა; 4. ნალია; 5. „რეალი“; 6. დიდაქტიკა; 7. ვივატ; 8. სენა; 9. აბულია; 10. გობელენი; 11. ნუგა; 12. დივანი; 13. ოფიცერი; 14. კურცხალი; 15. ფრუ; 16. იაგანი; 17. ალემანია; 18. ოში; 19. ქატო; 20. ბერინგი; 21. ცეცე; 22. ტობაგო; 23. იობი; 24. შალე; 25. თასი; 26. პადრე; 27. აკრი; 28. ეოლე; 29. ემე; 30. სკეიტბორდი; 31. თაიგული; 32. პერი; 33. რინგი; 34. „ბენტლი“; 35. ნამქერი; 36. ალოე; 37. ინვარი; 38. ქერი; 39. გორიო; 40. ელია; 41. ლაროშფუკო; 42. იბარური; 43. მაინა; 44. სოლარიუმი; 45. უსტარი; 46. ბეილი; 47. ყბა; 48. კასრი; 49. ტუამოტუ; 50. მაო; 51. ბოა; 52. აღუ; 53. სუმატრა; 54. რქა; 55. ატომი; 56. ლეტო; 57. ტიარა; 58. ჭროღა; 59. კენია; 60. ონტარიო; 61. ფო; 62. სალამურა; 63. ანა; 64. მაკრამე; 65. კოდა; 66. ბისტი; 67. ფიონა; 68. ოტიტი; 69. უშუ; 70. ერბო; 71. ფრი; 72. მარაზმი; 73. ენიო; 74. ოინი; 75. იუსტინიანე; 76. ტინი; 77. სატი; 78. სუ; 79. რტო; 80. ტრუა; 81. გურია; 82. სიტი; 83. პინა; 84. ური; 85. კიუსიუ; 86. ტროსტი.

1. იტალიის საფეხბურთო კლუბი ტურინიდან
2. მეღვინეობით განთქმული რეგიონი საფრანგეთში
3. ებრაელთა სახელმწიფო
4. ნავთობის გადამუშავების ერთ-ერთი პროდუქტი
5. მავრიტანიის დედაქალაქი
6. ღლონტის სახელი ფილმში „არ იდარდო“!
7. ბორის პასტერნაკის „ექიმი ...“
8. საქართველოს ეროვნული ვალუტა
9. გეომეტრიული სხეული
10. „ორღობეში მიდიოდნენ ... და მარო...“
11. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
12. ესპანეთის პროვინცია
13. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
14. დანიის ადმინისტრ. ტერიტორიული ერთეული
15. ლეგენდარული მოკრივე კასიუს ...
16. წვრილმარცვლოვანი ყავა
17. საბრძოლო მანქანა
18. მხარზე გადასაკიდი ქსოვილი ჩანთა
19. ადამის მეუღლე
20. გრიგოლ რასპუტინი ნამდვილი გვარი
21. აფრიკული ფეხბურთის ტრადიციული საყვირი
22. სუბტროპიკული მცენარე
23. რუსი მწერალი ... ტოლსტოი
24. ქართველი რომანტიკოსი პოეტი
25. წყალქვეშა კლდე
26. მშვენიერი ელენეს ქმარი
27. ქვეყანა კარიბის ზღვის აუზში
28. მთა, სადაც ზევსმა ბავშვობა გაატარა
29. დაკოდილი ცხენი
30. სპორტული ორთაბრძოლა ხელთათმანებით
31. ალკოჰოლური სასმელი
32. ავსტრალიელი და ამერიკელი მსახიობი
33. ბიბლიური ნოეს უმცროსი ვაჟი
34. ერთმანეთში შეგროვილი ფულით პურის ჭამა
35. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი
36. ადამიანის ყველაზე დიდი თითი
37. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
38. შალის მკვრივი ქსოვილი
39. სოფელი კასპის რაიონში
40. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
41. ძვ. ქართული წონის ერთეული
42. სასიამოვნო სურნელი
43. ლიტვის ვალუტა
44. ქვეყანა შუა აზიაში
45. ლიმონის „ნათესავი“
46. წვრილი უკურკო ქიშმიში
47. ღობეზე გადასასვლელი ადგილი
48. გრძელბოლოიანი თუთიყუშის ჯიში
49. იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
50. ოიდიპოსის დედა და ცოლი
51. 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი
52. ხემცენარე
53. ავი, ანჩხლი
54. ბუნებრივი აირის ძირითადი კომპონენტი
55. ოსური ცეკვა
56. მდინარე რუსეთში
57. იგივე თანაგანცდა
58. მიმართვა გერმანელი მამაკაცისადმი
59. საკონდიტრო ნაწარმი, მაღალ გრადუსზე მშრალად გამდნარი შაქარი
60. ევროკავშირის ვალუტა
61. სახარების ავტორი
62. ზამთრის ნალექი
63. პინგვინის სახეობა
64. კავკასიის მთიელთა სოფელი
65. ალოეს ქართული სახელწოდება
66. ქიმიური ელემენტი, თეთრი ლითონი
67. უგონო მდგომარეობა
68. ოთარ ჭილაძის რომანი „... თეატრი“
69. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
70. პუერეულის ნამჯის ნალეწი
71. ტიბეტის დედაქალაქი
72. შეთქმულთა მცირე ჯგუფის მიერ განხორციელებული სამხედრო გადატრიალება
73. მაქსიმ გორკის რომანი „მაკარ ...“
74. გაზაფხულის ყვავილი
75. სცენის გასანათებელი მოწყობილობა
76. ცნობილი ფრანგი მოდის დიზაინერი
77. სტრესის კონცეფციის შემქმნელი
78. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
79. პაკისტანის სახელმწიფო ენა
80. ინგლისური ტრადიციული ლუდი
81. ზვიადაურის სოფელი
82. მექსიკელი მხატვარი ფრიდა ...
83. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
84. მოძრაობის გადამცემი მბრუნავი ღერო
85. იგივე კრაზანა
86. ავთვისებ. დაავადება

ღვინოს ბოკალი ჩაკრიებს

ისე არაფერი აღიზიანებს გურმანებს, როგორც თბილი ღვინის სმა, ჩაციებული სასმელით სიამოვნების ნაცვლად. ღვინის მთელი ბოთლი მაცივარში საკმაოდ დიდხანს ცივდება. არადა, არის ვითარება, როცა გაგრილებული სასმელი სასწრაფოდ გჭირდებათ. მაგალითად, თუ მოულოდნელად სტუმრები დაგადგებიან თავს. მსგავს მდგომარეობას თავი რომ აარიდოთ, ამერიკულმა კომპანიამ სპეციალური ბოკალი შექმნა, რომელიც თავად აციებს სასურველ ღვინოს სულ რამდენიმე წუთში. ჭიქები სპეციალური გელითაა დაფარული, რომელიც მაცივარში ან საყინულეში შენახვით გრილდება. ასეთ ბოკალში ჩამოსხმისას, ღვინო იდეალურ ტემპერატურამდე, საკმაოდ სწრაფად ცივდება. სიახლე უკვე გამოჩნდა მაღაზიებში და მისი ფასი 32 დოლარია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.